შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური

გაზეთი IBSU

2022 წ. N10

საქართველოში აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ესტუმრა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, კელი დეგნანს 2021 წლის 30 დეკემბერს უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში ქალბატონი ელჩი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, საფფეთ ბაირაქთუთანს. სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელმა, დოქტორმა თამარ შიოშვილმა ელჩს გააცნო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 20-წლიანი თანამშრომლობის ისტორია და IBSU-ს ამერიკისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა.

ამერიკისმცოდნეობის ინგლისურენოვანი პროგრამაა საქართველოში 2001 წელს აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერითა და პროფესორ თამარ შიოშვილის ინიციატივით ამოქმედდა. ინგლისურენოვანი პროგრამა ამერიკისმცოდნეობაში აგერ უკვე 20 წელზე მეტია რაც ერთადერთია მთელს ამიერკავკასიაში და მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან საქართველოში თანამშრომლობის დიდი ისტორია გააჩნია. ჩვენი თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში მრავალფეროვან ერთობლივ აქტივობებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, ცოტა ხნის წინათ აკრედიტებული ჩვენი ახალი სამაგისტრო პროგრამა „ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში“, რომელიც საელჩოს დახმარებით და აშშ-ს ლოიოლას უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგიით მომზადდა მისი ვიზიმეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ჩვენთვის, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტისთვის.

ჩვენ ელჩს დეტალურად გავაცანით პროგრამის მიზნები, კურსდამთავრებულები და მოქმედი სტუდენტები. საბოლოოდ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ქალბატონი კელი დეგნანი კმაყოფილი დარჩა ჩვენთან სტუმრობით. ეს ფაქტი მახარებს და მინდა, რომ მადლობა ვუთხრა ყველა დღვანდელი დღის ინიციატორს და მონაწილეს.“ - განაცხადა IBSU -ს რექტორმა საფფეთ ბაირაქთუთანმა.

„დღევანდელი დღე წარიმართა გულთბილ ვითარებაში სტუდენტებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამერიკიმცოდნეობის პროგრამის და უნივერსიტეტის მიმართ და ეს ვიზიტი იქნება დასაწყისი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის ქალბატონ კელისთან და მის მთლიან გუნდთან“, განაცხადა სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ შიოშვილმა.

როგორც შეხვედრის დროს ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, ამერიკისმცოდნეობის პროგრამა აერთიანებს ქართულ და ამერიკულ კულტურას და ფანტასტიკური შესაძლებლობაა ამერიკასა და საქართველოს შორის კავშირების გასაძლიერებლად. **„მოხარული ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა შევხვედროდი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს“,** განაცხადა ელჩმა.

კელი დეგნანთან შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობებზე და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

“ამ უნივერსიტეტში დაფასებულია სწავლის ხარისხი”

წარმატებული კურსდამთავრებულები IBSU-ში გატარებულ წლებს იხსენებენ

სალომე კაიშაური, მადონა ბეჭვაია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს უამრავი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს, ამჯერად კი გაგაცნობთ ორ წარმატებულ კურსდამთავრებულს: საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კურსდამთავრებულ თამარ ჩოგოვაძესა და მარიამ კაიშაურს, რომელმაც შავი ზღვის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე სბაკალავრო პროგრამა დაასრულა.

თამარ ჩოგოვაძემ შავი ზღვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა მოხალისეობრივ გაცვლით პროგრამაში მიეღო მონაწილეობა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამის ფარგლებში, ჩასულიყო პოლონეთის ქალაქ კიელცეში. არაფორმალური განათლების ეს პროექტი თამარს ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება. “აღსანიშნავია პოლონელების პოზიტიური დამოკიდებულება ქართველებისადმი, ჩამოსვლის დღიდან ძალიან ბევრი ახალი ადამიანი გავიცანი. დიდი რეკომენდაციას ვუწევ მსგავსი ტიპის პროექტებს, რადგან ეს ეხმარება ქართველ ახალგაზრდებს პიროვნულ ზრდასა და სხვადასხვა კულტურის შეცნობაში.ჩემი სურვილი იქნება, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს და მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რადგან ამ მიმართულებით მრავალი შესაძლებლობა არსებობს”, გვითხრა თამარ ჩოგოვაძემ საუბრისას.

თამარ ჩოგოვაძე: “იბსუში სწავლის პერიოდში მრავალი საჭირო უნარი გამომიმუშავდა სხვადასხვა აქტივობების პროცესში. ეს ყოველივე დღესაც დიდ როლს თამაშობს ჩემ ცხოვრებაში და მეხმარება იმაში, რომ საკუთარი თავი მრავალი კუთხით განვავითარო. პანდემიის დაწყებიდანვე გადავედით დისტანციურ სწავლებაზე, რომელსაც მრავალი მინუსი აქვს, თუმცა ეს პერიოდი ჩემთვის ხელსაყრელი გამოდგა, რათა წერითი უნარები დამეხვეწა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ანალიტიკური ესე და ნაშრომი ვწერე, რომლებთან მიმართებაშიც მუდმივად ვიღებდი უკუკავშირს და ვცდილობდი ეს ყოველივე გამეთვალისწინებინა. ჩემი აზრით სწორედ ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ გამიჩნდა სურვილი გავმხდარიყავი მკვლევარი.

გაგრძელება გვ.11

ინტერვიუ სამართლის ფაკულტეტის ახალდანიშნულ დეკანთან
გვ.4

რეაკრედიტირებული და ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები IBSU-ში
გვ.8

ინტერვიუ შზსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელ ილიას შსთუნიერთან
გვ. 2

„შზსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ როგორც საქართველოში, ისე - საზღვარგარეთ“

ინტერვიუ სკოლის ხელმძღვანელ ილიას უსთუნიერთან

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა 2005 წელს გაიხსნა. ამ დროისათვის უმაღლეს სასწავლებელში ათი სამაგისტრო და ოთხი სადოქტორო პროგრამა მუშაობს. თითქმის ჩვიდმეტწლიანი არსებობის განმავლობაში სკოლას 1000-მდე კურსდამთავრებული დაუგროვდა. უნივერსიტეტის ამ დანაყოფის ხელმძღვანელი პროფესორი ილიას უსთუნიერი ჩვენ გაზეთს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მუშაობის სპეციფიკაზე ესაუბრა.

-ბატონო ილიას, შეგიძლიათ თქვენი თავი გააცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს? თქვენი კარიერის შესახებ მოკლე ცნობები მოგვაწოდეთ.

-მე მქვია ილიას უსთუნიერი. დავიბადე ბართინში, თურქეთის ერთერთ ზღვისპირა ქალაქში. დავამთავრე თურქული ენისა და ლიტერატურის სწავლების ფაკულტეტი გაზის უნივერსიტეტში, თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უმაღლეს სასწავლებელში. საზღვარგარეთ კი მოვიპოვე შედარებითი ლინგვისტიკის მაგისტრისა და დოქტორის ხარისხები. ამჟამად ვმუშაობ შზსუ-ში, აფილირებული პროფესორის რანგში.

-როდის მოხვედით შზსუ-ში და რა იყოს თქვენი მოტივაცია?

-2003 წელს, ჩემმა ახლო მეგობარმა, რომელიც აქ მუშაობდა, მომიწვია თურქულ ფილოლოგიაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გასახსნელად. შზსუ-ში მუშაობა ოფიციალურად 2004 წლის 20 იანვარს დავიწყე. 2008 წელს გავხსენით თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. 11 წლის განმავლობაში ვიყავი ამ ორი პროგრამის კოორდინატორი.

-რამდენი წელია სამაგისტრო სკოლის დირექტორი ხართ?

-დღემდე შზსუ-ში ბევრ სხვადასხვა თანამდებობას ვიკავებდი, მათ შორის, ვასრულებდი კვლევისა და განათლების დარგში პროექტორის მოვალეობას. 2019 წლის სექტემბერში დავიწყე მუშაობა შზსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დირექტორად.

-რამდენი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაა ამჟამად ხელმისაწვდომი შზსუ-ში, რა ენაზეა ეს პროგრამებიდარამდენიკურსდამთავრებული გყავთ აღნიშნულ პროგრამებზე?

-მოცემული მომენტისთვის ჩვენთან ფუნქციონირებს 10 სამაგისტრო და 4 სადოქტორო პროგრამა. აღნიშნულმა პროგრამებმა გაიარეს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ფაზები.

სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი:

- მარკეტინგი (ინგლ.)
- ფინანსები (ინგლ.)
- მენეჯმენტი (ინგლ.)
- კომპიუტერული მეცნიერება (ინგლ.)
- განათლების ადმინისტრირება (ინგლ.)
- აშშ-ს საგარეო ურთიერთობები (ინგლ.)
- საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლ.)
- ციფრული მედია და კომუნიკაცია (ქართ.)
- განათლების ადმინისტრაცია (ქართ.)
- შედარებითი სავაჭრო სამართალი (სწავლების ენა ქართულია, ზოგიერთი კურსი კი ინგლისურ ენაზეც ტარდება)

ასევე, გვაქვს შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

- განათლების მეცნიერებები (ინგლ.)
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლ.)
- კომპიუტერული მეცნიერება (ინგლ.)
- ამერიკანისტიკა (ინგლ.)

შზსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა 2005 წელს გაიხსნა. მოცემული მომენტისთვის გვყავს დოქტორანტურის 116, ხოლო სამაგისტრო პროგრამების 796 კურსდამთავრებული. საქართველოს გარდა ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით წარმოადგენენ შზსუ-ს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

-თუ შეიძლება გვითხარით, რა კვალიფიკაციებს შეიძენენ აღნიშნული პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები?

-კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციები განსხვავდება მათ მიერ გავლილი პროგრამების მიხედვით. ზოგადად, კურსდამთავრებულები იღებენ პროგრამის დასახელების იდენტურ კვალიფიკაციას.

ილიას უსთუნიერი

-რა შეგიძლიათ გვითხრათ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე უცხოელი პროფესორების ჩართულობაზე?

-შზსუ თანამშრომლობს კვალიფიციურ პროფესორებთან ამერიკიდან და ევროპიდან. ისინი კითხულობდნენ ლექციებს კამპუსში კოვიდ 19-მდე, ახლა კი აგრძელებენ ლექციებს ონლაინ რეჟიმში და ხელმძღვანელობენ დისერტაციებს, მიმოიხილავენ სადოქტორო თეზისებს როგორც გარე ოპონენტები და მონაწილეობენ დაცვების პროცესში.

-როგორია უცხოელი სტუდენტების ინტერესი აღნიშნული პროგრამებისადმი?

-შზსუ-ში შექმნილია საერთაშორისო საგანმანათლებლო გარემო, აქ სწავლობენ სტუდენტები 25 სხვადასხვა ქვეყნიდან. მიმდინარე წელი გამორჩეულია იმით, რომ ჩვენ მივიღეთ უცხოელი სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა, მათ შორის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზეც გვყავდა და გვყავს უცხოელი სტუდენტებიც.

-რა შესაძლებლობები აქვთ შზსუ-ს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით?

-ჩვენს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონს გაცვლით პროგრამებში პარტნიორ უნივერსიტეტებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მიმდინარე სემესტრში დრეზდენის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით მაგისტრატურის 2 სტუდენტი სწავლობს და კიდევ 2 სტუდენტი აპირებს გერმანიის უნივერსიტეტში ჩაბარებას. გარდა ამისა, შზსუ მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და განათლებაში, მაგალითად, ისეთებში როგორიცაა IDEA და Erasmus Mobility. ჩვენ სტუდენტებს ვაძლევთ საშუალებას ისარგებლონ პარტნიორი უნივერსიტეტების კვლევითი შესაძლებლობებით, რათა მათ შეძლონ თავიანთი აკადემიური აქტივობების სწორად განხორციელება.

-რა ტიპის შეღავათებით სარგებლობენ შზსუ-ს კურსდამთავრებულები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მიმართვისას?

-რა თქმა უნდა, ჩვენ მათ ვთავაზობთ მთელ რიგ შეღავათებს. პირველი, ეს არის ხელმისაწვდომი სწავლის საფასური: სწავლის საფასური ყველა სამაგისტრო პროგრამაზე შეადგენს 2500 ლარს შზსუ-ს საბაკალავრო დონის კურსდამთავრებულთათვის; შზსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები კი იღებენ 25 პროცენტიან შეღავათს სადოქტორო პროგრამებზე განაცხადისას. უცხოელი აპლიკანტებისთვის სწავლის საფასური 3000 აშშ დოლარის ნაცვლად, 7800 ლარია. ყოველივე ამის პარალელურად კი შზსუ აპლიკანტებს სთავაზობს სწავლის საფასურის გადანაწილების შეღავათიან ფორმავს.

-რა სახის შესაძლებლობებს სთავაზობთ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს აკადემიური განვითარების კუთხით?

-შზსუ-ს ბიბლიოთეკა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს სთავაზობს უფასო წვდომას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე. ჩვენ გვაქვს შესაბამისი რეგულაციები დოქტორანტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობისა და ინდექსირებულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების მხრივ. ჩვენ ყოველწლიურად ვაწყობთ კონფერენციებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის და ჩვენი სტუდენტები ესწრებიან შზსუ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებს უფასოდ. შზსუ აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებს 6 სხვადასხვა დარგში. ამ ჟურნალებიდან 5 გამოდის ინგლისურ ენაზე. შზსუ, საერთაშორისო განათლების მხრივ უწევს კონსულტაციას მაგისტრატურისა და დოქტორანტურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ. ჩვენ ასევე რეკომენდაციას ვუწევთ ჩვენს სტუდენტებს ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში.

-როგორც ცნობილია, 2020 წლიდან მთელი მსოფლიო ჩაერთო ვირტუალურ სწავლებაში. რა თქმა უნდა, იგივე შეეხეო უმაღლესი განათლების სისტემასაც. როგორ დაახასიათებდით ამ ოთხ სემესტრს? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ვირტუალურ სწავლებას?

-როგორც კერძო უნივერსიტეტი , შზსუ უფრო სწრაფად და ეფექტურად გადავიდა ონლაინ განათლებაზე საჯარო და ბევრ სხვა კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით. ამაში გადამწყვეტი იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მზადყოფნა, თანამშრომლების უნარ-ჩვევები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზუსტი და სწრაფი გადაწყვეტილებები, უნივერსიტეტის პროფესორების საერთაშორისო კვალიფიკაცია. გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური ერთეულები სტუდენტების მოთხოვნათა შესაფასების მიზნით. დისერტაციების დაცვა გადავიდა ონლაინ რეჟიმში. პროგრამებში ჩართული არიან უცხოელი პროფესორები. ჩვენ ვმუშაობთ ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რათა ონლაინსწავლების პირობებში არ დაეცეს განათლების ხარისხი.

-რაც შეეხება პრაქტიკულ კურსებს, როგორ ფიქრობთ, დასაშვებია თუ არა მათი ჩატარება უნივერსიტეტში?

-ეს არის შემთხვევა, რომელიც შეიძლება პროგრამების მიხედვით განსხვავდებოდეს. სადოქტორო პროგრამების ფარგლებში უფრო მეტი თეორიული კვლევები ტარდება. რა თქმა უნდა, ამას აქვს შესაბამისი პრაქტიკული დირებულება. სამაგისტრო პროგრამები კი მოიცავს უფრო მეტ პრაქტიკულ კურსებს, ვიდრე - სადოქტორო საფეხური.

-თქვენი აზრით, რა განასხვავებს შზსუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს სხვა იდენტური პროგრამებისგან?

-შზსუ ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო სწავლებას როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ დონეებზე. როგორც ცნობილია, საქართველოში ამ მხრივ განსხვავებული პრაქტიკა და ტენდენციებიც კი არსებობს. პრაქტიკა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, საშუალებას აძლევს პროგრამებს ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით, აკადემიურ პერსონალს მეტი დრო და ენერგია რჩება პროგრამებისა და სტუდენტების აკადემიური განვითარებისთვის. სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა ეხმარება ჩვენს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციული კუთხით, ხოლო აკადემიური პერსონალი კი მუშაობს პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

-ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გახსნას, არსებული ახალი ტენდენციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ უწყვეტად ვერთვებით ერთობლივ და ორმაგ პროგრამებში უცხოურ უნივერსიტეტებთან. ჩვენ ვცდილობთ პროგრამები მაღალ დონეზე განვახორციელოთ, რადგან შზსუ-დან სულ უფრო მეტი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტი მიდის მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. ვცდილობთ გავზარდოთ სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების ინდექსები. ამ მიზნით ვაწყობთ სემინარებს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, რათა მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა შეძლონ თვალყური ადევნონ იმ ადმინისტრაციულ პროცესებს, რაც სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას ეხება და ყოველივე ამას წელსაც გავაგრძელებთ. მხარს ვუჭერთ ჩვენს აკადემიურ პერსონალს, რათა გაიუმჯობესონ თავიანთი კვალიფიკაცია უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში გაგზავნით სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. სამომავლოდ ამ ტიპის ჩართულობების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

“შზსუ-დან სულ უფრო მეტი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტი მიდის მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. ვცდილობთ გავზარდოთ სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების ინდექსები. ამ მიზნით ვაწყობთ სემინარებს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, რათა მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა შეძლონ თვალყური ადევნონ იმ ადმინისტრაციულ პროცესებს, რაც სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას ეხება და ყოველივე ამას წელსაც გავაგრძელებთ.”

ორმაგი დიპლომების გაცემის პერსპექტივა

IBSU-ს ტექნოლოგიის მიმართულება გერმანიის ქალაქ ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან ერთობლივ საგანამანთლებლო პროგრამაზე მუშაობს

ანა იაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გერმანიის ქალაქ ცვიკაუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობს. პროექტის მიზანია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა ორმაგი დიპლომი აიღოს. ერთი არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომი, ხოლო მეორე - პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული დიპლომი. პროექტს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან უძღვება კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დოქტორი მარინა რაზმაძე. მისი თქმით, სამუშაო პროცესში შუა აზიისა და ჩინეთის უნივერსიტეტებიც არიან ჩართულები.

მარინა რაზმაძე: "კომპიუტერული მეცნიერების მოქმედი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი, რომლის შედეგად მომზადდება ახალი ინგლისურენოვანი ორმაგი დიპლომის პროგრამა სახელწოდებით **„კომპიუტერული მეცნიერება და მენეჯმენტი" ქალაქ ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან (University of applied schiences of Zwickau (WHZ)) და ოთხ პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად შემდეგი ქვეყნებიდან- ყაზახეთი (Kazakh american free University (KAFU)), ყირგიზეთი (Kyrgyz-German institute of applied informatics (INAI.kg) სომხეთი Armenian state university of economics (ASUE), ჩინეთი (Tongji University)".** მარინა რაზმაძე იმედოვნებს, რომ 2023 წლისათვის ახალი სამაგისტრო პროგრამა სტუდენტთა პირველ ნაკადს მიიღებს. "სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი წლის განმავლობაში ისწავლონ გერმანიაში, ქ. ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში.

გაგრძელება გვ.5

"როდესაც ეკრანზე 100%-იან საგრანტო დაფინანსებას ხედავ აცნობიერებ, რომ შრომა ღირდა"

გრანტოსანი პირველკურსელები აბიტურიენტობას იხსენებენ

თამთა მჭედლიშვილი

პანდემიის გამო 2020-2021 წლის აბიტურიენტებს იზოლაციაში უხდებოდათ მეცადინეობა. რამდენად რთული იყო დისტანციურ რეჟიმში მზადება და რა გზის გავლაა საჭირო გრანტის მოპოვებისა და სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრისთვის? ამ შეკითხვით IBSU-ში 2021 წელს ჩარიცხული ნაკადიდან 100%-იანი გრანტის მქონე რამდენიმე სტუდენტს ვესაუბრეთ. 100% გრანტის მფლობელი თაკო ჩხიტუნიძე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინგლისურ ფილოლოგიას ეუფლება. თაკომ გვითხრა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე არჩევანი მრავალფეროვანი შღავათიანი საგრანტო პირობებისა და ინგლისურენოვანი პროგრამების არსებობამ განაპირობა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე თაკომ შიდა საუნივერსიტეტო გრანტი მოიპოვა , რაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის სასკოლო-საგაზაფხულო ოლიმპიადაში მონაწილეობითა და გამარჯვებით გახდა შესაძლებელი . მისი აზრით, აბიტურიენტებისათვის საუნივერსიტეტო ოლიმპიადები მოსწავლის დონის განსასაზღვრად და სამომავლოდ სწორი არჩევანის გაკეთების გონივრული გზაა. „პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ვიცოდი, რომ უმეტესად ონლაინ მომიწევდა სტუდენტობა, თუმცა მაინც ბედნიერი ვარ, რადგან იმედები არ გამიცრუვდა და ვსწავლობ იმას, რაც გულით მინდა" , ამბობს თაკო. მომავალ აბიტურიენტებს თაკო ჩხიტუნიძე ურჩევს, რომ ხშირად გაიხსენონ, რისთვის იბრძვიან. „არცერთი წამით არ მოდუნდეთ და არ იფიქროთ, რომ რამე არ გამოგივათ. ხშირად გაიხსენეთ ხოლმე რისთვის იღწვით, წარმოიდგინეთ თქვენი მომავალი და ყველაფერი გამოგივათ."



თათული გენებაშვილი, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მართვის პირველი კურსის სტუდენტი

სრულად დაფინანსებულთა შორისაა IBSU -ს საბაკალავრო პროგრამა საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მართვის პირველკურსელ თათული გენებაშვილიც. მისი თქმით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საერთაშორისო გარემოს, მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამებისა და თანამედროვე სასწავლო პირობების გამო აირჩია. თათულის აზრით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტი არ უკარგავს სტუდენტებს 12 წლიან შრომას. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები IBSU-ში შიდა 100%-იანი გრანტით ფინანსდებიან. თათულისთვის ყველაზე რთული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მოლოდინის რეჟიმი იყო, თუმცა უმაღლესი ქულების აღებისა და უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ყველანაირი დაძაბულობა მოიხსნა და დარჩა მხოლოდ სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრით გამოწვეული ბედნიერების განცდა, რომელიც თათულის მთელი ცხოვრების განმავლობაში ემახსოვრება.

თაკო ჩხიტუნიძე, ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი

1000 რეიტინგულ სტუდენტთა შორისაა, მარიამ სხირტლაძე, რომელიც იბსუში სწავლას ინგლისურენოვან არქიტექტურის პროგრამაზე სრული დაფინანსებით გააგრძელებს. სრულ დაფინანსებასთან ერთად მარიამი შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდიის მფლობელია, რაც მისი თქმით, კიდევ უფრო აუმჯობესებს სწავლის მოტივაციას. აბიტურიენტობისას გაწეულ მძიმე შრომას მარიამი ახლაუკვე სასიამოვნოდ იხსენებს: **„როდესაც ეკრანზე 100% გრანტს ხედავ, აცნობიერებ რომ გათენებული ღამეები და თავდაუზოგავი შრომა ამ დიდ წარმატებად ღირდა."**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კიდევ ერთი წარმატებული სტუდენტი ლიკა ყულჯანიშვილია. ლიკა დიდხანს ფიქრობდა რომელ პროგრამაზე გაეგრძელებინა სწავლა.

ლიკა ყულჯანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კურსის სტუდენტი

საბოლოოდ მისი არჩევანი საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე შეჩერდა. ლიკა აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის დაფინანსების სისტემით უნივერსიტეტები იშვიათად გამოირჩევიან, სწორედ ამგვარი შეთავაზებების გამო მას უნივერსიტეტის არჩევანზე გაკეთება არ გასჭირვებია. ლიკა 12 წლის განმავლობაში ამ შედეგის მისაღწევად დაუღალავად შრომობდა, თუმცა მისთვის აბიტურიენტობა ღამეების გათენებასა და ყოველ წუთს წიგნების კითხვასთან არ ასოცირდება. მისთვის მთავარია მიზანი სწორად დაისახო, მთელი შრომა ერთ

მარიამ სხირტლაძე, არქიტექტურის პირველი კურსის სტუდენტი

კონკრეტულ მიზანში ჩადო და შედეგი აუცილებლად ხარისხიანი იქნება. აბიტურიენტებს ლიკა ურცევს, რომ მთელი ფიზიკური და გონებრივი რესურსი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მზადებას მიუძღვნან: **„ვფიქრობ, რომ 100%-იანი გრანტი დიდი შრომის შედეგია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შრომა აუცილებლად ფასდება. სწავლა ყოველთვის მიყვარდა და აბიტურიენტობის წელიც ისეთივე იყო, როგორიც წინა 11 წელი. დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გავიხსენებ აბიტურიენტობის ეტაპს და დავველოდებოდი 30 აგვისტოს, რომ შედეგები მენახა."**

ახლა უკვე სტუდენტებმა სიამოვნებით გაიხსნეს აბიტურიენტობის დროინდელი ემოციები და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ცხოვრება ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობებს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, მოცემულ შესაძლებლობებს ჩვენ როგორ გამოვიყენებთ დასახული მიზნის მისაღწევად.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლესი განათლების ბაზარზე 1995 წლიდან არსებობს. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ასეულობით სტუდენტს იღებს და კერძო უნივერსიტეტებს შორის რეიტინგის მიხედვით მესამე ადგილს იკავებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აბიტურიენტებისთვის უამრავი შესაძლებლობა, შეთავაზება და აქტივობა არსებობს. მომავალი სტუდენტები ძირითადად არჩევანს ისეთ უნივერსიტეტებზე აკეთებენ, რომლებიც განათლების ხარისხით და მოქნილი საგადასახადო სისტემით, ან საგრანტო პროგრამებით გამოირჩევა. შავი ზღვის საერთშორისო უნივერსიტეტს რამდენიმენაირი საგრანტო პროგრამა გააჩნია. პირველ რიგში, არსებობს ყოველწლიური სასკოლო ოლიმპიადა, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველ გაზაფხულზე მართავს. სასკოლო ოლიმპიადაზე მიღებული გრანტი სტუდენტს იმ შემთხვევაში შეუნარჩუნდება, თუ ის სახელმწიფო გრანტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც აიღებს. მას სახელმწიფო გრანტთან ერთად ავტომატურად შიდა საუნივერსიტეტო გრანტიც ენიჭება. გარდა ამისა, ის სტუდენტები, რომლებიც 500-ეულში მოხვდებიან, გათავისუფლდებიან გადასახადისაგან და სტიპენდიასაც მიიღებენ. თუმცა გადასახადზე შეღავათი იმ სტუდენტებისთვისაც არსებობს, რომლებიც გამოცდებზე სახელმწიფო გრანტის მიღებას ვერ შეძლებენ, ამისთვის კი საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა ჩამონათვალში პირველი ადგილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიანიჭოთ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2021 წელს 800-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა, ეს ბოლო 3 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 800 დან 100 სტუდენტი 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელია.

“მიყვარს შემოქმედებითი საქმიანობა, სიახლეები, რომლებსაც მოსდევს განვითარება ”

ინტერვიუ სამართლის ფაკულტეტის ახალდანიშნულ დეკან ქეთევან ქოქრაშვილთან

ავთანდილ ზარნაძე

2021 წლის შემოდგომის სემესტრიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს. გთავაზობთ ინტერვიუს სამართლის ფაკულტეტის დეკან ქეთევან ქოქრაშვილთან.

-ქალბატონო ქეთევან, თქვენ 1995 წლიდან ეწევით აკადემიურ საქმიანობას. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება, უფრო მეტი გაიგოს თქვენი პროფესიული გზის შესახებ.

ქეთევან ქოქრაშვილი, სამართლის დეკანი

-ჩემი პროფესიული გზა, აკადემიური საქმიანობის თვალსაზრისით, დაიწყო საქართველოს ტენიკურ უნივერსიტეტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის წარჩინებით დასრულებისთანავე. სტუ-ს ახლადშექმნილი სამართლის კათედრის გამგემ, ბატონმა მინდია უგრეხელიძემ, შემომთავაზა ლექციათა კურსის წაკითხვა სამოქალაქო სამართალში. ეს ჩემთვის საპასუხისმგებლო და საოცრად საინტერესო გამოწვევა იყო. რთულია პირველად ჯგუფში შესვლა, მით უმეტეს, როცა სტუდენტები მხოლოდ რამდენიმე წლით არიან შენზე უმცროსი. ეს სირთულე ერთად გადავლახეთ მე და ჩემმა სტუდენტებმა, რომელთა უმრავლესობა დღეს ჩემი საუკეთესო მეგობარია.

-როგორ და რატომ გადაწყვიტეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანის პოსტზე გადმონაცვლება? მართალია, სულ სამიოდე თვეა, რაც დეკანი გახდით, მაგრამ საინტერესოა, როგორ შეეგუეთ ახალ გარემოს - რა გიგიჭირადათ და რა გაგიოლდათ ყველაზე მეტად?

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე დეკანის პოზიცია უნივერსიტეტის რექტორმა, საფფეტ ბაირაქთუთანმა, შემომთავაზა. ეს შემოთავაზება საინტერესო გამოწვევად მივიჩნიე, მიყვარს შემოქმედებითი საქმიანობა, სიახლეები, რომლებსაც მოსდევს განვითარება, მით უმეტეს, თუ ეს განათლების სფეროსა და მომავალი თაობის პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ეხება. რა გამიჭირდა და რა გამიიოლდა? ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, **ამ ეტაპზე ვგრძნობ რექტორისა და უნივერსიტეტის მთელი გუნდის თანადგომას. კარგია, როცა გუნდს ამოძრავებს ერთი იდეა, რომელიც მიმართულია ქვეყნისა და საზოგადოების სასიკეთოდ.**

-თქვენი კარიერული გზის გაცნობისას აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში იყავით ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე - რა შეგძინათ საჯარო მოხელედ მუშაობის გამოცდილებამ?

-ეს იყო ქვეყნის განვითარების საწყის ეტაპზე რადიკალური რეფორმების გატარების პერიოდი. დღემდე მეამაყება ბატონ კახა ბენდუქიძესთან თანამშრომლობა. ვფიქრობ, ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო ეტაპი, რომელმაც შეცვალა ჩემი შეხედულებები ძალიან ბევრ საკითხზე და სხვა რაკურსით დამანახა სახელმწიფოს მნიშვნელობა, განათლების დონის ამაღლების მნიშვნელობა, სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

-თქვენი სამუშაო გამოცდილების გაცნობისას ვნახეთ, რომ რამდენიმე წლის წინ საქართველოში ლიეტვური ენისა და კულტურის ცენტრი დაგიარსებიათ. საიდან და რატომ გაგიჩნდათ ეს იდეა?

-ეს პროექტი მიმართული იყო განათლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისკენ, მიზანი იყო - ქართველი სტუდენტები დაგვეინტერესებინა ლიეტუვური ენით, კულტურით, საგანმანათლებლო სისტემით. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემმა მეგობარმა, პროფესორმა, ვიდას კავალიუსკასმა, რომლის დახმარებითაც ლიეტუვის სეიმის განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან, ასევე, ლიეტუვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მჭიდრო კონტაქტების დამყარების გზით დღეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლიეტუვის ენისა და კულტურის ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ვიდასი და უკვე მდიდარი ისტორია აქვს. ცენტრი ხელს უწყობს არა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, არამედ - ორივე ქვეყნის პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

-ქალბატონო ქეთევან, თქვენ კითხულობდით საჯარო ლექციებს სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში - ქსნის კოლონიაში. მაინტერესებს, როგორ მიმდინარეობდა საჯარო ლექციები ქსნის კოლონიაში, როგორი იყო პატიმართა აქტივობა, რა თემებზე ისმენდნენ ისინი ლექციებს? ამ პროექტის ანდა მსგავსი პროექტის კვლავ გაგრძელებას თუ გეგმავთ?

-ეს იყო სამთავრობო პროექტი, რომლის მიზანიც იყო მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. რთულია, როცა მსმენელთა შემადგენლობა სრულიად განსხვავებულია ასაკით, სოციალური სტატუსით, განათლების დონით, ინტერესების სფეროთი, სამომავლო გეგმებით, სოციუმისადმი დამოკიდებულებით. ამიტომ, ჩემი საჯარო ლექციები არ იყო კლასიკური ფორმატით აგებული. ვცდილობდი თემატიკა მათ მეტ-ნაკლებად საერთო ინტერესის სფეროს დაახლოებოდა. პირველივე შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მათთვის ყველაზე საინტერესო კერძო სამართლის მიმართულებით იყო საოჯახო ურთიერთობები და მათი სამართლებრივი რეგულირება. სწორედ ამ თემებზე იგებოდა ჩვენი საუბრები და ინტერაქციაც საკმაოდ დიდი იყო. ჩემ გარდა პროექტში ჩართული იყო რამდენიმე პროფესორი.

-მართალია, სულ რამდენიმე თვეა, რაც დეკანი ხართ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რა აქტივობები განახორციელეთ?

-ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ატარებს აკადემიურ და სოციალურ ხასიათს, ფაკულტეტს აქვს თავისი პოზიტიური ტრადიცია, რაც ფაკულტეტის წინა ხელმძღვანელობის საქმიანობას უკავშირდება, ჩვენი მიზანია, რომ მეტად გავამრავალფეროვნოთ და განვავითაროთ აქტივობები, რომლებიც სრულად უპასუხებს სამართლის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. პირველი ოქტომბრიდან დღემდე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გერმანიისა და საქართველოს იურიდიულ კომპანიებთან, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურთან, ა(ა)იპ-თან -„საქართველოს იურისტები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან“.

IBSU-ს სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო პალატის თავმჯდომარეს გიორგი მიქაუტაძეს შეხვდნენ.

ჩატარდა საჯარო ლექციები: „თეორი საყელოს დანაშაული გერმანიაში“,რომელიც წაიკითხეს გერმანელმა პროფესორებმა, მიხაილ ჰარცმა და ვილჰემ ჰაუსმა; „სამოსამართლო ეთიკა. (დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პრაქტიკის განხილვა)“- დამოუკიდებელი ინსპექტორი, ზურაბ აზნაურაშვილი; **„ევროკავშირის სამართალი და ასოცირების ხელშეკრულება“ - პროფესორი ეკა ქარდავა.** დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ჩვენი ფაკულტეტის ორგანიზებით, დაიწყო შეხვედრათა ციკლი სახელწოდებით: „საუბრები მოსამართლეებთან“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის ნოემბერში შედგა პირველი შეხვედრა უზენაეს სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან, გიორგი მიქაუტაძესთან. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესები, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი სტუდენტები.

18 დეკემბერს უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ-თან -„საქართველოს იურისტები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ ორგანიზაბით ჩატარდა ადმინისტრაციული სამართლის ფორუმი, სადაც მონაწილეობდნენ პრაქტიკოსი იურისტები,აკადემიური კორპუსის წარმომადგენლები და ჩვენი სტუდენტები. ბევრი და ამბიციური გეგმა გვაქვს. შედეგებზე საუბარი, ვფიქრობ, მოგვიანებით უფრო საინტერესო იქნება.

-უკვე ოთხი სემესტრი გავიდა, რაც სტუდენტები დისტანციურ, მოგვიანებით კი ჰიბრიდულ სწავლებაზე გადავიდნენ. თქვენი აზრით, ამ იძულებითმა ცვლილებამ რა დადებითი და რა უარყოფითი შედეგები მოიტანა?

-დადებით მხარეებად შეიძლება დავასახელო - თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის უნარჩვევების გამომუშავება/განვითარება; დროის ეკონომია. სხვა დადებითი არც მახსენდება. უარყოფითი - კომპიტერულ ტექნიკაზე მიჯაჭვულობა, ასევე, რაც მთავარია დისტანციური სწავლება მკვეთრად აფერხებს ადამიანის სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რაც მომავალში, ვშიშობ, ბევრ ნეგატიურ შედეგს მოგვიტანს.

-დაბოლოს, როგორია ფაკულტეტის განვითარების გეგმა, რა ცვლილებების განხორციელებას აპირებთ უახლოეს მომავალში?

-დაგეგმილი და უკვე დაწყებული ცვლილებების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, სილაბუსების განახლება. მაქსიმალურად მორგება კანონმდებლობის, სამართლის ბაზრისა და საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებზე. ეტაპობრივად ვამრავალფეროვნებთ საგანმანათლებლო პროგრამას, ვამატებთ პრაქტიკულ კურსებს. გეგმაში გვაქვს მეტი პრაქტიკოსი პროფესიონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში. შემოგვაქვს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა დანერგვასაც პირველ ეტაპზე ვაპირებთ ზამთრისა და ზაფხულის სკოლების ფორმატით.

ვიწყებთ სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებას, ჩვენი მიზანია, რომ ამ პროექტებში მაქსიმალურად ჩავრთოთ ჩვენი სტუდენტები. ვგეგმავთ გაცვლითი პროგრამების რეალიზებას.

მოკლედ, სურვილების, იდეებისა და გეგმების დეფიციტს არ განვიცდით, შრომა არ გვეზარება, დანარჩენს მომავალი გვაჩვენებს.ვვ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია დასრულდა

მარიამ მერლანი,
მარიამ ქობალია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ ახალ სივრცეში, ბე კორპუსის მეოთხე სართულზე გადაინაცვლა. სამკითხველო დარბაზის გარდა, ბიბლიოთეკას შეემატა ჯგუფური სამუშაოებისთვის განკუთვნილი იზოლირებული სივრცე და მცირე საკონფერენციო დარბაზი. ამასთან ერთდ, განახლდა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდიც. „ბიბლიოთეკამ ბოლო წლების განმავლობაში მთელი რიგი რეფორმები განახორციელა. განახლდა როგორც ბიბლიოთეკის საიტი, ასევე კატალოგი და სოციალური ქსელი. გარდა ამისა, ძირეული ცვლილება მოხდა ინფრასტრუქტურის ნაწილში“- ამბობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ხატია ბუტიკაშვილი. განახლებული ბიბლიოთეკა გამოირჩევა ნათელი სივრცით, ჯგუფური სამუშაოებისთვის განკუთვნილი ოთახით, მცირე საკონფერენციო დარბაზითა და ინდივიდუალური სამკითხველი სივრცეებით. ბიბლოთეკის რეორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ციფრული სერვისების გაუმჯობესებაა. **„ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა უნივერსიტეტები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, მკითხველისთვის შეეთავაზებინა მეტი ციფრული სერვისი. შესაბამისად, ბიბლიოთეკა მკითხველს გარდა ბეჭდურისა, ასევე ციფრული სახის ლიტერატურას შესთავაზებს. ბიბლიოთეკა მაქსიმალურად ცდილობს მკითხველის საჭიროებების იდენტიფიცირებას. ამისთვის ის ხშირად ატარებს გამოკითხვებს, რის საფუძველზეც საბიბლიოთეკო ფონდი მდიდრდება და ციფრულდება“,** აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ხატია ბუტიკაშვილმა. ბიბლიოთეკის განახლების მნიშვნელობაზე გვესაუბრა სამაგისტრო და სადოქტორ სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი ილიას უსთუნერიც. “ბიბლიოთეკა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს სთავაზობს უფასო წვდომას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე. ჩვენ გვაქვს შესაბამისი რეგულაციები დოქტორანტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობისა და ინდექსირებულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების მხრივ. ჩვენ ყოველწლიურად ვაწყობთ კონფერენციებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის და ჩვენი სტუდენტები ესწრებიან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებს უფასოდ”. უნივერისტეტის ერთ-ერთი სტუდენტი სალომე ონიანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ განახლებული ბიბლიოთეკა და აქ შემოთავაზებული ციფრული სერვისები სასწავლო პროცესს უფრო მეტად კომფორტულსა და სასიამოვნოს ხდის. „ჩემთვის,როგორც სტუდენტისთვის,ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკა განახლდა, სასიამოვნოა, ვინაიდან ბიბლიოთეკას დაემატა ისეთი სივრცეები, როგორიცაა საკონფერენციო დარბაზი, სადაც სტუდენტებს შეგვიძლია გავაკეთოთ პრეზენტაციები, კონფერენციები და ა.შ. **მახარებს ის ფაქტი, რომ ჯგუფური სამუშაოსთვის გამოყოფილია ცალკე ოთახიც, სადაც შეგვიძლია აზრთა გაცვლა-გამოცვლა,ინფორმაციის მოძიება და ერთობლივად მუშაობა. მე და ჩემი კურსელები ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებლები ვართ და გვიხარია, რომ სიახლეები წიგნად ფონდსაც შეეხო. ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი, ასევე მხატვრული ლიტერატურა“,** გვითხრა სალომე ონიანმა. თითქმის ექვსთვიანი რეორგანიზაციის პროცესი დასრულდა, განახლებული ბიბლიოთეკა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს ბ კორპუსის ბოლო სართულზე ელოდება.

ხატია ბუტიკაშვილი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი: “ბიბლიოთეკა მაქსიმალურად ცდილობს მკითხველის საჭიროებების იდენტიფიცირებას. ამისთვის ის ხშირად ატარებს გამოკითხვებს, რის საფუძველზეც საბიბლიოთეკო ფონდი მდიდრდება”

საზღვარგარეთ სწავლა, როგორც პიროვნული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა

ანო ტვილდიანი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის გაცვლით პროგრამებში. ჩვენი გაზეთის ამ ნომერშიც, ტრადიციულად, წარმოგიდგენთ რამდენიმეს იმ იმ სტუდენტებიდან, ვინც გასულ სემესტრში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობდა. სტუდენტების წარდგენამდე გაგაცნობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა, გაცვლითი პროგრამებით დაინტერესების შემთხვევაში. როგორც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ელიფ ერგუვანი ამბობს, საზღვარგარეთ სწავლის მსურველები უნდა ესტუმრნონ პერსონალისა და სტუდენტების მობილობის საიტს iro.ibsu.edu.ge და შეავსონ განაცხადი მათი პროგრამების, ფაკულტეტების, აკადემიური მოსწრებისა და სხვა სპეციფიკური ინფორმაციის შესახებ. ამის შემდეგ საერთაშორისო ოფისი ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს და შეარჩევს სტუდენტებს, რომლებიც გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში, ისარგებლებენ სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებით. „გერმანიაში სწავლა დიდი ხნის განმავლობაში მინდოდა, რადგან, ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის განათლების სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა. როცა ვნახე განცხადება, რომელიც ჩემი ოცნების ახდენის შესაძლებლობას მაძლევდა, დაუფიქრებლად გავაგზავნე რეზიუმე. პროგრამა ჩემს ფაკულტეტსაც შეესაბამებოდა და გერმანული ენის ჩემი ცოდნის დონეც მათ მოთხოვნას აკმაყოფილებდა“, ამბობს ლიზი ალასანია. ლიზი 19 წლისაა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერულ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსზე სწავლობს. იგი გერმანიაში, ქალაქ ცვიკაუში „ერასმუსის“ გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა 5 თვის განმავლობაში. როგორც ლიზი ამბობს, საზღვარგარეთ სწავლას უამრავი დადებითი მხარე აქვს. პირველ რიგში, მისთვის ეს აკადემიურ წინსვლასთან ასოცირდება. მას საზღვარგარეთ განათლების მიღება პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესში ძალიან დაეხმარა. ამას გარდა, ერთ-ერთი მიზეზი რატომაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო საზღვარგარეთ სწავლის პროცესი ისაა, რომ იგი ეზიარა უცხო ხალხის კულტურას, ჩვეულებებსა და მშობლიურისგან განსხვავებულ გარემოს. **„ამ ყველაფრის ერთადერთი უარყოფითი მხარე ის იყო, რომ პანდემიური ვითარების გამო დისტანციურად მომიწია სწავლა, რის გამოც იქაური სტუდენტური ცხოვრება სრულყოფილად ვერ გამოვცადე. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ამ 5 თვის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ავითვისე და დიდი გამოცდილება მივიღე. პირველად გავფრინდი საზღვარგარეთ, ვცხოვრობდი მარტო, ყველა პრობლემის მოგვარება და გადაწყვეტა დამოუკიდებლად მოვახერხე.“**

ლიზი ალასანია

ლიზი სტუდენტებს ურჩევს, რომ აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა მსგავს პროგრამებში და გამოიყენონ ყველა შანსი, რომელიც მიეცემათ, რადგან საზღვარგარეთ სწავლის დროს დიდ გამოცდილებას დააგროვებენ და პიროვნულად განვითარდებიან. ლენტო ბალიაშვილი IBSU -ს საერთაშორისო ურთიერთობათა ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსზე სწავლობს. „2021 წლის შემოდგომის სემესტრი ლიეტუვის რესპუბლიკაში, ვილნიუსში Mykolas Romeris სახელობის უნივერსიტეტში გავატარე. ამ უნივერსიტეტს აქვს კარგი რეპუტაცია და წარმოადგენს ერთ-ერთი მაღალი ევროპული სტანდარტის საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც თავს იყრიან სტუდენტები თითქმის ყველა კონტინენტიდან.“ **ლენტო წარმატებული სტუდენტია, იგი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, ქვეყნის მასტაბით საუკეთესო 500 სტუდენტს შორის მოხვდა და არჩევანი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე შეაჩერა. როგორც თავად ამბობს, ამის მთავარი მიზეზი კარგი შემოთავაზებები იყო, რაც გულისხმობდა ინგლისურენოვან სექტორზე სწავლის საშუალებას, შიდა გრანტს, სტიპენდიას და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებს. მისი თქმით, საზღვარგარეთ გამგზავრებისას დიდი არჩევანი არ ჰქონია, პანდემიის გამო.** თუმცა ფიქრობს, რომ სხვა შემთხვევაშიც ლიეტუვას აირჩევდა, იქ არსებული სტაბილური სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის გამო. „მაინც მგონია, რომ სტუდენტებმა არა მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტების, არამედ თავიანთი ინტერესების შესაბამისადაც უნდა აირჩიონ ქვეყანა, სადაც სწავლის გაგრძელება სურთ. ამ შემთხვევაში ჩემი ინტერესის სფერო მოიცავდა ძველი ეპოქის არქიტექტურას, ისტორიულ ქალაქებს, თანამედროვე ადგილებს განტვირთვისთვის და დროის თავისუფლად გასატარებლად. ვთვლი, რომ სტუდენტმა საზღვარგარეთ სწავლისათვის კომფორტული გარემო უნდა შეარჩიოს.“ თავის გამოცდილებაზე საუბრისას ლენტო ამბობს, რომ ეს უმეტესწილად მისთვის სიახლეების გაცნობასთან, საკუთარი თავის განვითარებასა და თვითრეალიზების პროცესებთან ასოცირდება. იგი უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად გადიოდა სტაჟირებას და უწევდა მუშაობა ლტოლვილებთან, ასევე სოციალ-

ლენტო ბალიაშვილი

ური რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთნ. ასევე გამოჰყოფს ევროპულ ქვეყნებში მოგზაურობას, რამაც კიდევ უფრო გაამყარა მისი მიზნები მომავალში უცხოეთში სწავლის გაგრძელების სურვილთან დაკავშირებით და შეაყვარა დასავლური კულტურა. „უცხოეთში სწავლა, ესაა მეტი ინფორმაცია, მეტი კომუნიკაცია, მეტი კავშირი, გაღრმავებული ხედვა და ინტერკულტურული, თუ გლობალური საკითხების სხვადასხვაგვარ ჭრილში განხილვის მეტი შესაძლებლობა. ვფიქრობ, ყველა სტუდენტმა ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს ყოველივე ეს.“ ლენტო ამბობს, რომ თუ სტუდენტს უცხოეთში სწავლის გაგრძელება სურს, მან თვალი უნდა ადევნოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ვებგვერდს, სადაც ქვეყნდება მსგავსი ხასიათის სიახლეები. აპლიკაციის შევსების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უკავშირდება სტუდენტს და აძლევს საშუალებას წარმოაჩინოს თავი გასაუბრებაზე, დაადასტუროს უცხო ენის ფლობის უნარები. ამ და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების არჩევა. შერჩევითი ეტაპის შემდეგ სტუდენტი მასპინძელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ამყარებს კონტაქტს და აგროვებს იმ საჭირო დოკუმენტაციას, რასაც ითხოვს მიმღები სასწავლებელი და ქვეყანა. „იმუშავეთ საკუთარ თავზე, ნაკლებად მიაქციეთ ყურადღება სხვებს და მათ მიღწევებს, დაისახეთ მიზნები და გჯეროდეთ მათი. სტუდენტობა ის პერიოდია, როცა კარიერული წინსვლისაკენ მიმავალ გზაზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, ამიტომ აუცილებელია სწორად შევაფასოთ განვლილი და გასავლელი გზა. გაცვლითი პროგრამა გაძლევს საშუალებას დაინახო შენი თავი ყველა ასპექტში, უკეთ გაერკვე შენს სურვილებში, მიხვდე რისი გაკეთება შეგიძლია და არის თუ არა საკმარისი ის შრომა და ენერგია, რასაც საკუთარი თავის განვითარებას უთმობ“, ამბობს ლენტო ბალიაშვილი. გვანცა ბასილაშვილი 20 წლისაა. იგი გერმანიაში, ბერლინში დაიბადა. ამჟამად კი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინგლისურ ფილოლოგიას სწავლობს. გვანცა გაცვლითი პროგრამით უნგრეთში, ბუდაპეშტში, „ეტვოშ ლორანდის“ უნივერსიტეტში იმყოფებოდა. გვანცასთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნივერსიტეტის შერჩევისას იყო უსაფრთხო გარემო. მას სურდა ისეთ ქვეყანაში


გვანცა ბასილაშვილი

გამგზავრება, სადაც იქნებოდა კრიმინალის დაბალი დონე და ასევე შეძლებდა მიეღო სამედიცინო დაზღვევა. ამიტომაც შეაჩერა არჩევანი ევროპულ სახელმწიფოზე. გვანცას მობილობა 6 თვეს ითვალისწინებდა, თუმცა უნივერსიტეტმა სტიპენდია გაუხანგრძლივა და აქვს შესაძლებლობა მომდევნო სემესტრშიც საზღვარგარეთ გააგრძელოს განათლების მიღება. **„საზღვარგარეთ სწავლის დროს მივიღე ზღვა გამოცდილება და მცირე დროშიც კი ვისწავლე იმდენი რამ, რის სწავლასაც საკუთარ ქვეყანაში ძალიან დიდ დროს მოვანდომებდი. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებს გვაქვს შესაძლებლობა ვიმოგზაუროთ და ვნახოთ ახალი ქალაქები, გავეცნოთ კულტურას, ენას, ისტორიას, ღირსშესანიშნაობებს, დავაგემოვნოთ ტრადიციული ნაციონალური კერძები, შევიძინოთ სუვენირები, თუმცა რაც ყველაზე მთავარია, წარვადგინოთ საკუთარი ქვეყანა საზღვრებს გარეთ. ვფიქრობ, ეს პროგრამა დამეხმარა გამეღვიძებინა უცხოელი სტუდენტების გულში ჩვენი პატარა ქვეყნისადმი ინტერესი, რაც მომავალში სასიკეთოდ წაადგება საქართველოს.“** როგორც გვანცა გვიამბობს, როდესაც პირველად დაინტერესდა გაცვლითი პროგრამით, ინტერნეტში გადაწყვიტა ინფორმაციის მოძიება. შემდეგ კი დამატებითი ინფორმაციისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მიმართა. მისი თქმით პროგრამის კოორდინატორი და უნივერსიტეტის წარმომადგენლები საერთაშორისო დეპარტამენტიდან მუდამ მზად იყვნენ ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად. მან გადააგზავნა მოთხოვნილი დოკუმენტები, როგორიცაა რეზიუმე, დახასიათება, სამოტივაციო წერილი, ნიშნების ფურცელი და ენების ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა. შემდეგ კი გაიარა გასაუბრება და მალევე დადებითი პასუხიც მიიღო. გვანცა სტუდენტებს ურჩევს, რომ არასოდეს დანებდნენ და არ შეწყვიტონ შესაძლებლობების ძიება, რადგან გაცვლითი პროგრამა ღირს თავდაუზოგავ შრომად. ამ სტუდენტების მაგალითი ნათლად აჩვენებს იმას, რომ არასოდეს უნდა ვთქვათ უარი იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც გვეძლევა და მუდმივად უნდა ვეცადოთ ვეძებოთ სიახლეები. სამივე მათგანი ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ საზღვარგარეთ სწავლა ერთდორულად უდიდესი გამოწვევაცაა, შანსიც და გამოცდილებაა. ეს არის გზა რომლის გავლაც სტუდენტებს დამოუკიდებელ, ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებაში ეხმარება და როგორც საკუთარი თავის განვითარების, ისე საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ქვეყნის გაცნობის საშუალებას აძლევს.

ორმაგი დიპლომების გაცემის პერსპექტივა

IBSU-ს ტექნოლოგიის მიმართულება გერმანიის ქალაქ ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან ერთობლივ საგანამანთლებლო პროგრამაზე მუშაობს

ანა იაშვილი

დასაწყისი გვ .3

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გერმანიის ქალაქ ცვიკაუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობს. პროექტის მიზანია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა ორმაგი დიპლომი აიღოს. ერთი არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომი, ხოლო მეორე - პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული დიპლომი. პროექტს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან უძღვება კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დოქტორი მარინა რაზმაძე. მისი თქმით, სამუშაო პროცესში შუა აზიისა და ჩინეთის უნივერსიტეტებიც არიან ჩართულები.

მარინა რაზმაძე: “კომპიუტერული მეცნიერების მოქმედი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი, რომლის შედეგად მომზადდება ახალი ინგლისურენოვანი ორმაგი დიპლომის პროგრამა სახელწოდებით **„ კომპიუტერული მეცნიერება და მენეჯმენტი“ ქალაქ ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან (University of applied schiences of Zwickau (WHZ)) და ოთხ პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად შემდეგი ქვეყნებიდან- ყაზახეთი (Kazakh american free University (KAFU)), ყირგიზეთი (Kyrgyz-German institute of applied informatics (INAI.kg) სომხეთი Armenian state university of economics (ASUE), ჩინეთი (Tongji University)”.**



მარინა რაზმაძე იმედოვნებს, რომ 2023 წლისათვის ახალი სამაგისტრო პროგრამა სტუდენტთა პირველ ნაკადს მიიღებს. “სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი წლის განმავლობაში ისწავლონ გერმანიაში, ქ. ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში, მესამე და მეოთხე სემესტრის განმავალობაში შეძლებენ სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში გამგზავრებას და ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლას. წარმატებით სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ ორმაგ დიპლომს აღიარებულს როგორც შავი ზღვის სართაშორისო უნივერსიტეტის, ისე - ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის მიერ”.

სტუდენტები შეირჩევიან საუნივერსიტეტო გამოცდის (სპეციალობის გამოცდა) ჩაბარების და გასაუბრების საფუძველზე. IBSU-ს საერთაშორისო ურთიერობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი მელიქ ალკანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროექტი ბევრ პოზიტიურ შედეგს მოუტანს არამხოლოდ შავი ზრვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, არამედ - ჩვენს ქვეყანას.

მელიქ ალკანი: “გაერთიანებული ბიზნესისა და კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა, რომელიც გერმანიის ცვიკაუს უნივერსიტეტთან ერთად მუშავდება, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ბევრ პოზიტიურ შედეგს მოუტანს.

ახალი კადრები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

2021-2022 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდა. გაზეთის ამ ნომერში წარმოგიდგენთ IBSU-ს ახალ თანამშრომლებს.

ამირან მჭედლიშვილი

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. თამარ შოშიაშვილი პირველადი განათლებით ჟურნალისტიკის მაგისტრია, იგი აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას 1998 წლიდან ეწეოდა, ძირითადად აშუქებდა ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხებს. იყო კორესპონდენტი საინფორმაციო სააგენტოებში „ინტერპრეს ნიუსი“, „გეორგია“, „მედიანიუსი“, რეპორტიორად მუშაობდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“-ის გადაცემა ბიზნესკურიერში.

2007 წლიდან თამარმა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით გააგრძელა მუშაობა. 2007-2013 წლამდე იყო საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; 2013-2017 წლებში ამავე ორგანიზაციის სტრატეგიული პროექტების დაგეგმვის დეპარტამენტის ექსპერტის თანამდებობა ეკავა. 2017-2019 წლებში იყო ხორვატული საინჟინრო კომპანიის “IGH” საქართველოს ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

2016 წელს თამარმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამა დაასრულა და ენერგეტიკის დოქტორი გახდა. იგი აკადმიურ საქმიანობასაც ეწევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის IBSU-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მოწვეული ლექტორი.

ჩვენს გაზეთთან საუბრისას თამარ შოშიაშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი გამოწვევა გუნდის შეკრება იყო, რაც პოზიციაზე დანიშვნიდან მოკლე დროში განახორციელა კიდეც. საზოგადოებასთან ურთიერთობის განახლებულმა დეპარტამენტმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა - შეიქმნა უნივერსიტეტის თილისმა (ე.წ. მასკოტი), გაიმართა საჯარო ლექციები, დაიგეგმა და განხორციელდა სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები, შეიქმნა აუდიოვიზუალური პროექტები - მაგალითად, “შეეკითხე ლექტორს”, “წარმატებული კურსდამთავრებულები”, რა უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ პროფესიის არჩევისას - ამ კონკრეტული პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები აბიტურიენტებსა და სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ რა არის გასათვალისწინებული კონკრეტული პროფესიის არჩევისას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახალისებს აქტიურ სტუდენტებს, რთავს მათ სხვადასხვა აქტივობებში და ამ გზით საშუალებას აძლევს, რომ სწავლასთან ერთად პრაქტიკული საქმიანობაც განახორციელონ. **საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განახლებულ გუნდში შედიან: მარიამ გოჩელაშვილი- სოციალური მედიის მენეჯერი, თამარ რეხვიაშვილი - აუდიოვიზუალური კონტენტის შემქნელი, გუჯა სიმონიშვილი - ვებ-დეველოპერი, ლანა სირბილაძე - ღონისძიებების მენეჯერი, ლუკა კირკიტაძე და გიორგი წამალაშვილი - გრაფიკული დიზაინერები, გიორგი მექვაბიშვილი და თამთა ჩხენკელი - ასისტენტები.**

სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი მურათ გურფინერი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი დროდადრო სტუდენტების სტაჟირებისათვის ვაკანსიებსაც აცხადებს. დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით, “იმ სტუდენტებს, ვინც საზოგადოებასთან ურთიერთობით არიან დაინტერესებული, უნდა ახსოვდეთ, რომ ეს საქმე მოითხოვს აქტიურობას, ადამიანებთან მუდმივ კომუნიკაციას და დაუღალავ შრომას”.

2021-2022 აკადემიური წლის პირველ სემესტრში სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაინიშნა მურათ გურფინარი. მან სამაგისტროსთან გათანაბრებული ხარისხი, ინგლისური ენის პედაგოგის სპეციალობით, საქართველოში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენათა ინსტიტუტში მოიპოვა, სადაც 1994-1999 წლებში სწავლობდა. ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობის დაწყების პარალელურად 2010 წელს მურატ გურფინარი თურქეთის გაზიანტეპის უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა, მოგვიანებით უნივერსიტეტი შეიცვალა და თურქეთის ზირვეს უნივერსიტეტში იმავე მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე განაგრძო სწავლა და მუშაობს სადოქტორო თემაზე. მურათ გურფინარს სხვადასხვა დროს ენის სწავლების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები აქვს გავლილი აშშ-ში, კერძოდ ატლანტაში ჯორჯიის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და დენტონ-დალასში სამხრეთ ტეხასის უნივერსიტეტში.

დეკანის ახალ მოადგილეს ვკითხეთ, თუ რა ტიპის გამოწვევების წინაშე დააყენა ახალმა თანამდებობამ. მურატ გურფინარი: “წამყვან პოზიციებზე მუშაობა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება,რაც ადამიანების ყოფაზე გავლენას ახდენს, სტრესულია. განსაკუთრებით მაშინაა ტრესული, როცა ახალბედა ხარ და ეს-ესაა გებულობ, თუ როგორ მუშაობს ორგანიზაციის სტრუქტურა. ინგლისური გამოთქმაცაა “ახალი მანქანის ახალბედა მესაკუთრე (being a novice of a new car)”, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოცდილი მძღოლიც კი ახალშეძენილ მანქანაში თავს ახალბედად გრძნობს. ამ წუთას უნივერსიტეტში ჩემს მუშაობას სწორედ ამ კონდიციას შევადარებდი. **ადმინისტრირების კარგი გამოცდილება მაქვს, მაგრამ უნივერსიტეტის მენეჯერული პროცესები ჯერ-ჯერობით ახალია ჩემთვის, რასთან გამკლავება და რისი საბოლოოდ ათვისებაც ჩემი ახლანდელი სამსახურებრივი გამოწვევაა. საბედნიეროდ შესანიშნავი კოლეგები მყავს, რომელთა წყალობითაც ძლიერი მხარდაჭერა მაქვს. ნელ-ნელა ვაგროვებ გამოცდილებას, რაც სამომავლოდ აუცილებლად გამომადგება.** ადმინისტრაციის კრიტიკა გარე თვალისათვის ძალიან იოლია, მაგრამ, როგორც კი ადმინისტრაციული ჯაჭვის ნაწილი ხდები და პროცესებს შიგნიდან დაინახავ, ბევრ აქამდე გაუგებარ პროცედურას, თუ პროცესს უფრო გაგებით და მოთმინებით ეკიდები”.

მურათ გურფინარის თქმით, პანდემია ბოლო სემესტრების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რადგან ეპიდემიამ როგორც ყველა სხვა სფეროზე, ისე - განათლებაზეც გავლენა მოახდინა. ფაკულტეტების ადმინისტრაციას უწევს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მოძებნა, რომ დისტანციური სწავლის პირობებშიც არ დაეცეს სწავლების ხარისხი, შეფასების ადეკვატურობა და სტუდენტებისგან ადექვატური უკუკავშირის მიღება.

კიდევ ერთი ახალი თანამშრომელი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მარკეტინგის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების თანაკოორდინატორი ნია თოდუაა. ნიამ ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 24-ე საჯარო სკოლა, შემდეგ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, ეკონომიკის სპეციალობაზე. სტუდენტობის წლებში აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო მუშაობაში და გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი. ბაკალავრიატში მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერთი სემესტრის განმავლობაში ჩეხეთში, მასარიკის უნივერსიტეტში სწავლა, რამაც უცხოურ გარემოსთან შეგუება და დამოუკიდებელი ცხოვრება ასწავლა. მაგისტრატურაში სწავლა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, ხოლო შემდგომ, ერთი სემესტრი იტალიაში, რომის საპიენსას უნივერსიტეტში გაატარა. “საბოლოოდ, არჩევანი ისევ მასარიკის უნივერსიტეტზე შევაჩერე და იქ მაგისტრატურის სრული კურსი, ორი სასწავლო წელი გავიარე. მანდვე დავიცავი სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ჩემი მეცნიერული კარიერის წარმატებული დასაწყისი აღმოჩნდა. სტუდენტობის წლებში,სწავლის პარალელურად,პრაქტიკულ საქმიანობასაც ვეწეოდი. საკმაოდ საინტერესო იყო

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამების თანაკოორდინატორი ნია თოდუა

ჩემთვის სადაზღვევო კომპანია არდიში გატარებული დრო,რამაც ბიზნესში მუშაობის გარკვეული გამოცდილება შემძინა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აკადემიურ სფეროში, კერძოდ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საქმიანობა ჩემთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველია”, განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნია თოდუამ.

ნია თოდუას სამსახურებრივი მოვალეობა მარკეტინგის სპეციალობის სტუდენტების ინფორმირება და კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე შესაბამის აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციაა. მისი თქმით, სტუდენტებს აინტერესებთ არამარტო ლიტერატურაში მოცემული საკითხები, არამედ ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში სწრაფად იცვლება. ამიტომ სტუდენტებისათვის ბიზნესგარემოში მიმდინარე პროცესების შესახებ უახლესი, რელევანტური მასალების მიწოდება, მათი სწორად გაანალიზება და გონივრული დასკვნების გაკეთება დღეისათვის ურთულესი გამოწვევაა.

ნია თოდუა: “აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, ვცდილობ ჩემი კვლევითი უნარების განვითარებას. ამჟამად ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. **ჩემს სამეცნიერო ინტერესის საგანია მარკეტინგის საკითხები, კერძოდ, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება ციფრული ეკონომიკის პირობებში. აღნიშნული მიმართულებით ვიკვლევ სოციალური მედიამარკეტინგის გავლენას სამედიცინო მომსახურების ბაზარზე. ეს პრობლემა დღეისათვის მეტად აქტუალურია და, ვფიქრობ, კვლევის შედეგად საინტერესო შედეგებსაც მივიღებ”.**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ახალი კოორიდნატორი ჰყავს კომპიუტერული მეცნიერებების ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებს. ამ პროგრამებს კომპიუტერული პროგრამების მაგისტრი ნიკოლოზ აბზიანიძე ხელმძღვანელობს. სამართლის ფაკულტეტს ახალი დეკანი, სამართლის დოქტორი ქეთევან ქოქრაშვილი ხელმძღვანელობს, რომელთანაც ვრცელი ინტერვიუ გაზეთის ამ ნომერში შემოგთავაზეთ. ამავე ფაკულტეტზე დეკანის მოადგილედ სამართლის დოქტორი ნონა ზუბიტაშვილი დაინიშნა, სამართლის კლინიკის წამყვანი ადვოკატის პოზიცია კი იურისტმა გოგა კიკალიშვილმა დაიკავა.

2021-2022 აკადემიურ წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი განახლებული შემადგენლობით შეხვდა და სასწავლო-კვლევითი პროცესები, ისევე როგორც, სოციალური პროექტები ახალი ენერგიით დაიწყო.

ორმაგი დიპლომების გაცემის პერსპექტივა

IBSU-ს ტექნოლოგიის მიმართულება გერმანიის ძალაძ ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან ერთობლივ საგანამანთლებლო პროგრამაზე მუშაობს

დასაწყისი გვ5

ინტერნაციონალიზაცია ითვლება საგანმანათლებლო ინსტიტუციების ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთ საფუძვლად. დღეს უნივერსიტეტები დამოკიდებულები არიან ერთმანეთზე ახალი საერთაშორისო პროექტების წარმოების დროს, რათა შეინარჩუნონ მსოფლიოსთან კავშირი. ეს პროექტი გააძლიერებს IBSU-ს ინტერნაცინალიზაციას, ვინაიდან სტუდენტები და თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოცემულ პროექტში დააგროვებენ ევროპულ ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც გადმოიტანენ და გაავრცელებენ ქართულ საზოგადოებასა და ინსტიტუციებში, ამასთანავე, საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

ჩვენ უნივერსიტეტს არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი ინტერნაციონალური ხასიათი და შესაძლებლობა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში გაავრცელოს მიღებული და გაზიარებული საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება. შესაბამისად, ამ შესაძლებლობით სარგებელს მიიღებს არამარტო IBSU , არამედ - მთელი საქართველო”. ორი ქვეყნის მიერ აღიარებული სამაგისტრო დიპლომი უფრო მეტად კონკურენტუნარიან და მოთხოვნადს გახდის მათ კანდიდატურას როგორც შიდა,ასევე - საერთაშორისო ბაზარზე.

„IBSU-ში ყველაფერია, რაც მსურს“-

უცხო ქვეყნის მოქალაქეები IBSU-ში სწავლის შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ

ლიკა ბახუტაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პროგრამები, საქართველოს მოქალაქეების გარდა, არაერთ უცხოელ სტუდენტსაც იზიდავს. უნივერსიტეტში არსებული ინტერნაციონალური გარემო ყველა ეროვნების სტუდენტს ერთ ჭერქვეშ აერთიანებს და მათ სხვა ერების, კულტურების გაცნობაში ეხმარება. ამ საგაზეთო მასალაში უცხოელ სტუდენტებს გაგაცნობთ. ისინი საკუთარ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას გაგვიზიარებენ.

ალი ბერტისი (ყაზახეთი): “ მოვხვდი თანამედროვე გარემოში, შევხვდი უამრავ განათლებულ და კონკურენტუნარიან სტუდენტს. ამ პირობებში სწავლა კიდევ უფრო ზრდის ჩემს მოტივაციას და მიზეზს მაძლევს, რომ გავაგრძელო შრომა და სწავლა სასურველი მიზნის მისაღწევად”

ალი ბერტისი ყაზახეთიდანაა, IBSU-ში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ინგლისურენოვანი კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის პირველ კურსზე სწავლობს. ალიმ საზღვარგარეთ სწავლა საკუთარი შესაძლებლობების მოსასინჯად და გამოცდილების მისაღებად გადაწყვიტა. მისი არჩევანის გამომწვევი მიზეზით რომ დავინტერესდით, ყურადღება კეთილგანწყობილ გარემოზე გაამახვილა: „ ყოველთვის ვიცოდი, რომ ქართველი ხალხი ძალიან მეგობრულია. არამხოლოდ უცხოელი სტუდენტების, არამედ, ზოგადად, უცხოელების მიმართ, რაც შეეხება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, გავარკვიეთ, რომ IBSU საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტადაა მიჩნეული. აქ გამოწვევებით სავსე გარემო და მაღალხარისხიანი განათლებაა. სწავლას ისიც აადვილებს, რომ ლექტორები მუდმივად ცდილობენ, აქტიური კომუნიკაცია დაამყარონ სტუდენტებთან.ყოველთვის კავშირზე იყვნენ“.

ალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მას საქართველოში სწავლამ შეჰმატა, საფუძვლიანი განათლება და ახალი ადამიანების გაცნობაა. „ძალიან ბევრ განსხვავებულ ადამიანს შევხდი. ვფიქრობ, ეს, პირველ რიგში, სხვადასხვა კულტურების გაცნობაში დამეხმარა. მოვხვდი თანამედროვე გარემოში, შევხვდი უამრავ განათლებულ და კონკურენტუნარიან სტუდენტს. ამ პირობებში სწავლა კიდევ უფრო ზრდის ჩემს მოტივაციას და მიზეზს მაძლევს, რომ გავაგრძელო შრომა და სწავლა სასურველი მიზნის მისაღწევად“ , აღნიშნა მან ჩვენ გაზეთთან საუბრისას..

კონკურენტუნარიან გარემოში სწავლის მნიშვნელობას ჩვენთან საუბარში **ელიფ ბეთულ ერგუვანიც** აღნიშნავს, რომელიც, IBSU-ში მიღებული მაგისტრის ხარისხის შემდეგ, სწავლას განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე აგრძელებს. ელიფის თქმით, საქართველო საუკეთესო ქვეყანაა ყველა იმ ქვეყანას შორის, რომელშიც უცხოვრია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არჩევის მიზეზი როდესაც ვკითხეთ, ელიფმა ასე გვიპასუხა: „სოციალური ასპექტიდან თუ შევხედავთ, აუცილებლად უნდა ვახსენო მეგობრული ატმოსფერო. არა მხოლოდ სოციალური, არამედ აკადემიური კუთხითაც. ლექტორების უდიდესი სურვილი, რომ საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარონ, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. საერთაშორისო და თანამედროვე გარემო აქ ყოფნას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის. ამ მიზეზების გამო სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სადოქტორო საფეხურზე სწავლაც ამავე უნივერსიტეტში გადავწყვიტე“.



ელიფ ბეთულ ერგუვანი (თურქეთი): “ლექტორების უდიდესი სურვილი, რომ საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარონ, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. საერთაშორისო და თანამედროვე გარემო აქ ყოფნას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის. ამ მიზეზების გამო სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სადოქტორო საფეხურზე სწავლაც ამავე უნივერსიტეტში გადავწყვიტე”

მძიმე ეპიდვითარებისს მიუხედავად, ელიფს არ უჭირს ონლაინ-სწავლაში პოზიტიური ასპექტების დანახვა. მისთვის ამ ახალ რეჟიმსაც აქვს თავისი ხიბლი, რადგან, მისი აზრით, ცვლილებებს განათლების ხარისხზე გავლენა არ მოუხდენია: „შეიძლება ლექცია მხოლოდ 2-3 საათს იკავებს კვირაში,მაგრამ შენ მაინც მთელი კვირის განმავლობაში ჩართული ხარ. ეს მხოლოდ დავალებებიდან არ გამომდინარეობს,საქმე ლექციების ორგანიზებულობაშია. სასწავლო გეგმა ისეა დალაგებული, რომ მაქსიმალურად ჩაგრთონ. ბევრია პრაქტიკული აქტივობაა,აქედან გამომდინარე, ხანდახან ვერც კი ვგრძნობ, რომ ონლაინ-ლექციაზე ვარ..“, გვიყვება ელიფი. „IBSU მეხმარება, გავხდე უკეთესი პიროვნება, ვიდრე ვიყავი“ - ასე იწყებს საუბარს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი **ივან პიტრა**. ივანი ანგოლადანაა და საქართველოში ფინანსების საბაკალავრო პროგრამის პირველ კურსზე სწავლობს. საზღვარგარეთ სწავლის მიზეზად პიროვნული განვითარებისა და ახალი კულტურების გაცნობის შესაძლებლობას ასახელებს. პანდემიამ ივანს გარკვეული პრობლემებიც შეუქმნა. „ვიზის პრობლემა მქონდა, დაგვიანებით მიღებული ვიზის გამო სექტემბერში დროულად ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. ბევრი ლექციის გაცდენა მომიხდა, ახლა კი ბევრი რამის ანაზღაურება მიწევს. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, მაგრამ ლექტორები განსაკუთრებით მეხმარებიან, რომ დავეწიო მასალას, მიმარტივებენ ამ პროცესს“,გვიყვება იგი.

სწავლის პროცესში ივან პიტრას ლექციების ორგანიზებულობა და მოწესრიგებულობაც ეხმარება. მეგობრული ლექტორები და სტუდენტზე ორიენტირებული გარემო კიდევ უფრო ამარტივებს ახალ ცხოვრებასთან შეგუებას და განათლების მიღების პროცესს სასიამოვნოს ხდის: „გამომდინარე იქიდან, რომ პირველკურსელი ვარ, იმ იღბლიან სტუდენტებს შორის აღმოვჩნდი, რომელთაც არჩევანის საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ ლექციებს ლაივ-რეჟიმში თუ ონლაინ. შევხვდი ძალიან კარგ ლექტორებს, რომლებიც ლექციებს უფრო საინტერესოსა და მხიარულს ხდიან. ბევრი პრაქტიკული სავარჯიშო და სიმულაციებია, რაც, გარდა იმისა, რომ საინტერესოა, სწავლაშიც საკმაოდ მეხმარება. მოკლედ რომ ვთქვა, IBSU-ში არის ა ყველაფერი, რაც მსურს“. **შიფა დიუანი** ქუვეითიდანაა, IBSU-ში არქიტექტურის პროგრამაზე სწავლობს. იმ მრავალი მეგობრისგან, რომელიც საქართველოში ჰყავს, შიფას ქართველ ხალხზე მხოლოდ და მხოლოდ კარგი სმენოდა. სწორედ ამან გადააწყვეტინა სასწავლებლად საქართველოში ჩამოსულიყო. არქიტექტურა და დიზაინი მისი ბავშვობიდან აინტერესებდა და ოცნებობდა ამ პროფესიას დაეუფლებოდა. ოცნების ასრულება კი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საშუალებით გადაწყვიტა. როგორც ჩანს, ის იმედები, რომელსაც შიფ IBSU -ზე ამყარებდა, გამართლდა: „პროფესორების, პერსონალისა და სტუდენტების თვალსაზრისით ძალიან მეგობრული გარემოა. ჩემს წინა გამოცდილებებს თუ გადავხედავ, ყველაზე კეთილი დამოკიდებულება IBSU-ში მიგრძვნია. ეს ყველაფერი მოტივაციას მაძლევს, რომ გავხდეის, ვინც მინდა, რომ ვიყო“, გვითხრა შიფამ. მისი თქმით, უნივერსიტეტში ყურადღებასა და მხარდაჭერას ყოველთვის გრძნობს. სალექციო პროცესში ყველაზე მეტად სტუდენტთა მაღალი ჩართულობა მოსწონს, რაც, როგორც თავად ამბობს, საგნის ძირეულად შესწავლაშიც ეხმარება და თანაკურსელების უკეთ გაცნობაშიც. „ ლექტორები მხოლოდ ლექტორები არ არიან. ისინი შენი მეგობრებიც არიან. განსაკუთრებულად სასიამოვნოა კურსელებთან ურთიერთობა, ისინი იმდენად მეგობრულები და კეთილები არიან, რომ ხშირად შინ ყოფნის განცდა მექმნება “ - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას შიფა დიუანმა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საგაზეთო მასალის მომზადების მომენტისათვის მსოფლიოს 24 ქვეყნის 140 უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

ივან პიტრა (ანგოლა): “შევხვდი ძალიან კარგ ლექტორებს რომლებიც ლექციებს უფრო საინტერესოსა და მხიარულს ხდიან. ბევრი პრაქტიკული სავარჯიშო და სიმულაციებია, რაც, გარდა იმისა, რომ საინტერესოა, სწავლაშიც საკმაოდ მეხმარება. მოკლედ რომ ვთქვა, IBSU -ში არის ყველაფერი, რაც მსურს“.”

ციყვი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თილისმა

გიორგი ჭარელიშვილი

ციყვი - IBSU -ს თილისმა-ემბლემა

ხე, ფორთოხალი, დათვი, არწივი, ვეფხვი, წითელი ლილი - აქ ჩამოთვლილ, ერთი შეხედვით, ერთმანთთან კავშირში არმყოფ სიტყვებს საერთო ისა აქვთ, რომ ყველა სხვადასხვა უნივერსიტეტის თილისმა-სიმბოლები, ე.წ. ‘mascot’-ებია. თილისმა-სიმბოლო 2022 წლიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსაც ჰყავს, ეს არის ნარინჯისფერი ციყვი, ზუსტად ისეთი, როგორებიც მრავლად დარბიან წიწვოვანი ხეებით დაფარულ უნივერსიტეტის ეზოში. თილისმა-სიმბოლოს შექმნის კონკურსი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 2021 წლის შემოდგომის სემესტრში გამოაცხადა. ე.წ. მასკოტის შექმნის იდეა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივა იყო. კონკურსში მონაწილეობის უფლება მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჰქონდათ. კონკურსანტებს ანიმაციური პერსონაჟის, იგივე თილისმის ვექტორული ფაილი უნდა შეექმნათ და 2021 წლის 25 ოქტომბრამდე კომისიისათვის წარედგინათ. წარდგენილი ნამუშევრების შემდეგ შეიქმნა მცირე სია, რომელშიც ხოლოდ 7 საკონკურსო ნაშრომი მოხვდა. გამარჯვებულის 27-29 ოქტომბერს საკნკურსო კომისიამ გამოავლინა. თუმცა, გადაწყვეტილება სტუდენტებმა მიიღეს. მათ მეილზე გადაეგზავნათ შვიდი აპლიკაცია, სტუდენტთა უმრავლესობამ ციყვს დაუჭირა მხარი, პასუხები ადმინისტრაციას გადაეცა, რომელიც მიღებულ შედეგები სრულად გაიზიარა. როგორც ჟიურის ერთ-ერთი წევრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ შოშიაშვილი აღნიშნავს,მიღებულ გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, პირველ რიგში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეზოში ბევრი ციყვია, გარდა ამისა ის ინტელექტუალური ცხოველი, ჭკვიანი და ერთგულია, რაც სიმბოლურად უკავშირდება უნივერსიტეტის დამოკიდებულებას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიმართ, რომლებთანაც მუდმივად ასეთივე ერთგული- მჯიდრო კავშირი აქვთ. აღნიშნული მასკოტის იდეის ავტორი ფინანსების პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი სერგო შაგინოვი იყო, რომელიც ინტერვიუში აცხადებს, რომ ციყვები მისთვის მხიარულ პერსონაჟთან ასოცირდება, აქედან გამომდინარე თილისმის ანიმაციაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა. მას კანცლერი ექრემ დინდარი შეხვდა და პრიზი გადასცა. პრიზის სახით უნივერსიტეტმა სერგოს გრაფიკული პროგრამა “motion design”-ის ორთვიანი სასწავლო კურსი დაუფინანსა. სერგომ ეს კურსი წარმატებით გაიარა. IBSU-ს მასკოტის მთავარი იდეა შემდეგში მდგომარეობს, ის აბიტურიენტებისთვის დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, მათ პროგრამებს გააცნობს.მასკოტი უკვე შექმნილია.

რეაკრედიტირებული და ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები IBSU-ში

თეკლა შავარდენიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით რეაკრედიტაცია რვა საბაკალავრო, ორმა სამაგისტრო და ერთმა სადოქტორო პროგრამამ გაიარა. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ტრადიციულ პროგრამებს შეემატა ახალი სამაგისტრო პროგრამა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისა და აკრედიტაციის პროცესი ძლიერ შრომატევადია. უნივერსიტეტის პროგრამების ხელმძღვანელები და პრორექტორი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტების ხარისხში ეჭვი არავის ეპარებოდა,დარწმუნებულები იყვნენ,რომ აკრედიტაციის პროცესი წარმატებით ჩაივლიდა. მათი თქმით, აკრედიტაციის სტანდარტები შესაბამისობაშია და ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით, ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნინო ჯოჯუა** ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ აკრედიტაცია დაფუძნებულია საერთაშორისო პრინციპებზე. თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესს ხელმძღვანელობს პროგრამის კოორდინატორი, რომელიც მუდმივ

ბაია ივანეიშვილი: "უკანასკნელი წლების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ათეულობით კურსდამთავრებული ახერხებს გრანტის მოპოვებასა და სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებას შემდგომ საფეხურზე. ამ პროცესში ისინი აქტიურად იღებენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერას. "

კოორდინაციაშია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამების მომზადებისას მხედველობაშია მიღებული უცხოეთის დარგში მოწინავე უნივერსიტეტების გამოცდილება - ხდება ე.წ. ბენჩმარკინგი, ანუ IBSU-ს საგანმანათლებლო პროგრამების დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამებთან და გამოცდილების გაზიარება.

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალაკრედიტებული პროგრამები შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებს, ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის და სწავლის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს. **უმეტესი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის წინ ფასდება საერთაშორისო დარგის ექსპერტის მიერ და თუ ამ შეფასების შედეგად ექსპერტმა გასცა რეკომენდაციები, საგანმანათლებლო პროგრამებში ამ რეკომენდაციებს ვითვალისწინებთ. ყოველივე ამის საფუძველზე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული პროგრამებია",** გვითხრა ნინო ჯოჯუამ

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების ახალ ქართულენოვან, ინგლისურენოვან საბაკალავრო და ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებს. პროგრამების ხელმძღვანელი, **ბაია ივანეიშვილი** გვესაუბრა მუშაობის აკრედიტაციის პროცესის გამოწვევებსა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამების სიახლეებზე: „წინასააკრედიტაციო სამუშაოები შრომატევადია, რადგან ამ პროცესში ხელახლა ვიაზრებთ და ვაახლებთ პროგრამის ყველა ასპექტს. IBSU-ს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების თითქმის ათწლიანი ფუნქციონირების მანძილზე დარგი მრავალმხრივ და დინამიურად განვითარდა. **პროგრამის კურიკულუმის აგებისას გათვალისწინებულ იქნა ისეთი უნივერსიტეტების გამოცდილება, როგორებიცაა ოქსფორდის, კემბრიჯის, სტენფორდისა და იელის უნივერსიტეტები, ლონდონის სამეფო კოლეჯი, ასევე, აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები. ამ პროცესში უზრუნველყოფილ იქნა კურიკულუმსა და სასწავლო კურსების შინაარსში ისეთი კომპონენტებისა თუ აქტივობების ინტეგრირება, რომლებიც სრულად მოიცავდა თანამედროვე დამსაქმებლების მოთხოვნებს დარგობრივი ცოდნისა თუ პრაქტიკული კომპეტენციების თვალსაზრისით. გარდა ამისა, პროგრამის განახლების პროცესი მოიცავდა აქტიურ კონსულტაციებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც მიგვითითეს თუ რა მიმართულებით სურდათ პროგრამის მოდერნიზაცია.** შესაბამისად, წინასააკრედიტაციო სამუშაოები მრავალმხრივი და მოცულობითია, რადგან, როგორც აღინიშნა, მოიაზრებს პროგრამის ფუნდამენტურ განახლებას, ამ პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მრავლობითი კვლევის განხორციელებასა და მექანიზმების შემუშავებას პროგრამის მდგრადობისა და დასახული შედეგების უზრუნველყოფის მიზნით."

ბაია ივანეიშვილის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები, აგრეთვე ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აძლევს თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის ცოდნასა და უნარებს. აღნიშნული პროგრამები მოიაზრებს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის ბალანსს. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია წამყვან პოზიციებზე საქმიანობის გამოცდილება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით. შესაბამისად, მათ შესაძლებლობა აქვთ გადასცენ სტუდენტს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე - პრაქტიკული გამოცდილება. უკანასკნელი წლების განმავლობაში, პროგრამების ათეულობით კურსდამთავრებული იპოვებს გრანტს და სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებას შემდგომ საფეხურზე. ამ პროცესში ისინი აქტიურად იღებენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერას.

საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო

დალი ოსეფაშვილი: "არამხოლოდ საქართველოში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც ახლა ინერგება ციფრული მედიის პროგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეს სამაგისტრო პროგრამა შეფასებულია უცხოელი ექსპერტების მიერაც. 6 გამოხმაურება მიიღო ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან. "

პროგრამის საფასურია 4680 ლარი, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის საფასური - 4980 ლარი.

მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი, აფილირებული პროფესორი დალი ოსეფაშვილი 2021 წლის სექტემბრიდან "ციფრული მედიისა და კომუნიკაციების" ახალი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. პროგრამის მიზანია მოამზადოს სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში თანამედროვე მედიაინდუსტრიის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტები. გარდა თეორიული ცოდნისა,

ნინო ჯოჯუა: "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალაკრედიტებული პროგრამები შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებს, ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის და სწავლის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის წინ ფასდება საერთაშორისო დარგის ექსპერტის მიერ"

ისინი ფლობენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებსა თუ ფორმებს; სხვადასხვა პლატფორმების მომზადებისა და მულტიმედია მასალების შექმნის უნარს; სოციალურ მედიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიების დაგეგმვის უნარს; კვლევის წარმოებისა და სოციალური მედიის ანალიზის უნარს; მონაცემთა დამუშავებისა და მათი ვიზუალიზაციის უნარს და ა.შ.

"შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო პროგრამა, უნიკალურია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. პირველი მცდელობაა სამაგისტრო საფეხურზე ციფრული მედიისა და ციფრული კომუნიკაციების სწავლების. ვფიქრობ, ეს დარგი საკმაოდ პერსპექტიულია, რადგან არამხოლოდ საქართველოში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც ახლა ინერგება ციფრული მედიის პროგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეს სამაგისტრო პროგრამა შეფასებულია უცხოელი ექსპერტების მიერაც. 6 გამოხმაურება მიიღო ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან.

სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობა დაახლოებით წელიწადნახევარზე მეტხანს გრძელდებოდა. **2019 წლის აგვისტოში ამერიკის საელჩოს მედია განათლების პროგრამის ფარგლებში ქართული მედიასკოლების წარმომადგენლები ვეწვიეთ ჩიკაგოს უნივერსიტეტებს თანამედროვე ჟურნალისტური სკოლებისა და მათი პროგრამების გასაცნობად, რომ შეგვძლებოდა უახლესი გამოცდილების გაზიარება და ქართულ რეალობაში დანერგვა. სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა ლოიოლას უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და ამბის თხრობის" სამაგისტრო პროგრამის ანალოგი მომემზადებინა IBSU-სთვის. ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის სამაგიტრო სკოლის ხელმძღვანელი, პროფ. რიშელ როჯერსი დიდი ენთუზიამით ჩაერთო ამ პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა IBSU-ს ამ პროგრამის შემუშავებაში", გვითხრა დალი ოსეფაშვილიმა**

დალი ოსეფაშვილის თქმით, ეს პირველი სამაგისტრო პროგრამაა საქართველოში, თუმცა უნივერსიტეტში არ აშინებთ მომავალი კონკურენცია, რადგან მისი კომპეტენციები რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის. "ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა სფეროს პრაქტიკოსების ჩართულობა სწავლების პროცესში. სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება, როგორც ონალინმედიაში, ისე ტრადიციულ მედიაორგანიზაციებში. სამაგისტრო პროგრამის სწავლის საფასური წლიური 3540 ლარია. თუმცა სამაგისტრო პროგრამების მიღებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში დარეგისტრერებული მსურველები 20%-იან ფასდაკლებას მიიღებენ".

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ახალაკრედიტირებული საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელის, დოქტორ აზერ დილანჩიევის თქმით, პროგრამების რეკრედიტაციისთვის მზადებაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა უცხოეთის უნივერსიტეტებში სხვა მსგავს პროგრამებთან დადარებას, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა ჩართულობას და მათი მონაწილეობით ჩატარებულ კვლევებს. აგრეთვე გაითვალისწინეს უცხოელი გარე ექსპერტების შეფასებები და რეკომენდაციები.

„პროგრამის შექმნაში არაერთი სტუდენტი იყო ჩართული, თუმცა მინდა გამოვყო ერთ-ერთი სტუდენტი გიორგი ტუმასიანი, რომელიც ჩემი ასისტენტი იყო და ძალიან დამეხარა. ამასთან ერთად გვქონდა ონლაინ შეხვედრები სტუდენტებთან და ვიღებდით მათ რჩევებსა და რეკომედაციებს პროგრამის ჩამოყალიბების შესახებ. პარალელურად იყვნენ ჩართულები ლექტორები და დარგის ექსპერტები. **უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კურსადმთავრებულებს ეხმარება სამსახურის დაწყებაში. ჩვენ ბევრ კომპანიასთან გვაქვს შეხვედრები, რადგან სტუდენტებს დასაქმების მხრივაც მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმნათ. ჩვენი სტუდენტები მუშაობენ ბანკებში, ეკონომიკის სამინისტროში, კერძო და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც საქართველოში ისე - საზღვარგარეთ.", გვითხრა აზერ დილანჩიევმა**

რაც შეეხება სწავლის საფასურს, მისი თქმით, სექტემბერში იგეგმება ფასდაკლება და სავარაუდო ღირებულება ორივე სექტორისთვის დაახლოებით 2900 ლარი იქნება. სტუდენტებს კი თანხის გადახდა რამდენიმე ნაწილად შეეძლებათ. ჩამოთვლილი პროგრამების გარდა 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით უნივერსიტეტში რეაკრედიტაცია გაიარა: კომ-

აზერ დილანჩიევი: "ეკონომიკის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები მუშაობენ ეროვნულ ბანკებში,სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძო და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც საქართველოში ისე - საზღვარგარეთ."

პიუტერული მეცნიერების ქართულენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ, კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ, კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანმა სამაგისტრო პროგრამამ, კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანმა სადოქტორო პროგრამამ, არქიტექტურის ინგლისურენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ, სამართალმცოდნეობის ქართულენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროგრამების დახვეწასა და განვითარებაზე მუშაობა მუდმივი პროცესია.

IBSU-ს სტუდენტებმა ნიკოლოზ ქველიძემ და ანი სამურკასოვმა თამაში შექმნეს
რას ნიშნავს თამაშის სახელი "ალიყური" ?

მაგდა მუმლაძე
თიკა სიბოშვილი

21-ე საუკუნეში ციფრულმა მედიამ პირისპირ მიმდინარე სოციალური ურთიერთობები შეასუსტა და ადამიანები ერთმანეთს დააშორა. მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდები ერთმანეთის ნახვას ახერხებენ, დრო სახალისოდ ვეღარ გაჰყავთ. IBSU-ს ორი სტუდენტის ნიკოლოზ ქველიძისა და ანი სამურკასოვის მიერ შექმნილი თამაში ალიყური სწორედ

ანისა და ნიკოლოზის პირველი საჯარო გამოსვლა და პოტენციურ მომხმარებელთან შეხვედრა.

პირისპირ ურთიერთობის გახალისებასა და ადამიანთა შორის სოციალური სიახლოვეს უწყობს ხელს. ნიკოლოზ ქველიძე და ანი სამურკასოვი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები არიან. მათი თქმით, საქართველოში ახლგაზრდები სამაგიდო თამაშების ტრადიციას არ სწყალობენ. სწორედ ამიტომ ნიკოლოზმა და ანიმ გადაწყვიტეს შეექმენათ რაიმე ახალი სამაგიდო თამაში. მათი ინსპირაცია ერთ-ერთი ამერიკული თამაში იყო. ისინი მიხვდნენ, რომ ზოგადი პრინციპის თამაშიდან აღება და მათი იდეებით გადახალისება ძალიან საინტერესო შედეგამდე მიიყვანდა. ფაქტია, რომ ასეც მოხდა. ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი თავისუფალი დრო გაატარონ სახალისოდ და პოზიტიურად. „ზოგადად თითოეული დეტალი ჩემი და ანის შექმნილია: წესები, დიზაინი, თითოეული ბარათი, კონცეპცია. გვინდოდა, რომ ალიყური მაქსიმალურად დამოუკიდებლად შეგვექმნა. თავიდანვე გვესმოდა ის, რომ მარტივი არ იქნებოდა ამ საქმის წამოწყება, ბევრ რისკზე მოგვიწევდა წასვლა და სირთულეებიც ბევრი შეგვხვდებოდა, თუმცა დღემდე ვცდილობთ, რომ ერთ გუნდად ვიმუშავოთ, ჩვენს ოცნებებსა და მიზნებს მივაღწიოთ", აღნიშნა ნიკამ ჩვენთან საუბრისას. „თამაშის იდეა რომ მოგვივიდა, ყველაფერი კარგად გავაშალაშინეთ, პირვანდელ იდეას ჩვენი წესები დავამატეთ, სახელიც ქართული შევურჩიეთ და, მგონი, კარგი რაღაც გამოგვივიდა. რამდენიმე თვე ვმუშაობდით მე და ნიკა ამ პროექტზე, მთელი სული, გული, დრო და ენერგია ჩავდეთ", დასძინა ანიმ. აშკარაა, რომ თამაშის შემქმნელებს ყოველთვის ჰქონდათ რაიმე ახლის შემქნისკენ სწრაფვა. ანის ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა, ახალ-ახალი თამაშების მოფიქრება. მას ყოველთვის სურდა მეგობრებთან ყოფნის დროს სტანდარტული თამაშების ნაცვლად რაიმე უფრო მეტად საინტერესო და სახალისო თამაში ეთამაშა. „ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ახალ-ახალი თამაშების მოფიქრება, ბავშვები ეზოში რომ ვთამაშობდით ხოლმე, რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო ჩვენთვის ეს თამაშის და მხიარულების პროცესი", აღნიშნა ანი სამურკასოვმა. მთავარი საქმე რაც გასაკეთებელი იყო მალევე დაასრულეს, თუმცა ამის შემდეგ გაჩნდა მთავარი კითხვა: რა სახელი ექნებოდა თამაშს და რატომ „ალიყური". აშკარაა, რომ ახალგზარდა სტარტაპერები შეთანხმებულად მოქმედებენ და ამიტომ არც სახელის მოფიქრება გასჭირვებიათ. „გვინდოდა, რომ თამაშის სახელი ქართულ მოტივებზე ყოფილიყო აგებული. ასევე, გვგონია, რომ სამაგიდო თამაშის სახელი, ზოგადად, მარტივი დასამახსოვრებელი და ისეთი უნდა იყოს, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს - "ეს რა არისო?" ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ფილოლოგიც მოვიარეთ და საბოლოოდ "ალიყურზე" შევჯერდით. სიმართლე გითხრათ, ზუსტად ისეთი რეაქცია მოდის მომხმარებლებისგან, როგორსაც მოველოდით", - აღნიშნეს თამაშის შემქმნელებმა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის მიზანი მეგობრების გახალისებაა, მას თავისი წესებიც აქვს და იმისათვის, რომ პროცესი მეტად მხიარული და სახალისო გახდეს აუცილებელია აწესების დაცვა. „თამაშში არის სამი ტიპის ბარათი - მარტივი (მწვანე), საშუალო (ყვითელი) და რთული (წითელი). მოთამაშე იღებს სასურველი სირთულის ბარათს და მას ეძლევა 10 წამი ბარათის საპასუხოდ. თუ მოთამაშე დროში ჩაეტევა და დაასახელებს ოთხ პასუხს, მიიღებს შესაბამის ქულას. თუ მოთამაშე 10 წამში ვერ მოასწრებს ბარათზე მოცემული დავალების შესრულებას, ის ისჯება მოქმედებით. მოქმედების შესრულების შემთვევაში მოთამაშე მიიღებს იმდენივე ქულას, რა სირთულისაც იყო პირვანდელი ბარათი, ხოლო თუ მოთამაშე უარს იტყვის მოქმედების შესრულებაზე, მას დააკლდება 5 ქულა და მან უნდა მიიღოს ალიყური მოწინააღმდეგისგან. თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ამას უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობის სახე და გაფრთხილებაც გვაქვს ყუთზე დატანილი, რომ ალიყური ნიშნავს სილას, ჩვენი განმარტებით კი - ხელის სუსტ მოთათუნებას. გაიმარჯვებს ის, ვისაც თამაშის ბოლოს მეტი ქულა ექნება და მიიღებს თასს შემდეგ თამაშამდე". მხოლოდ მიმზიდველი იდეა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამ სახალისო თამაშის შესახებ საზოგადოებამ გაიგოს. საინტერესოა, გაუჭირდათ თუ არა ახალგაზრდა ბიზნესპარტნიორებს თამაშის პოპულარიზაცია და საზოგადოების დაინტერესება? როგორც, შემქმენელები ანი და ნიკოლოზი აღნიშნავენ, ეს პროცესი არცისე მარტივია, თუმცა აუცილებელია ბედის ყველგან ცდა და, რა თქმა უნდა, აუცილებლად სადმე გაგიმართლებს. „მარკეტინგიც და რეკლამირების მთელი რიგი საკითხებიც ჩვენს თავზე გვაქვს აღებული. თავიდან ინსტაგრამზე და ფეისბუკზე დარეკლამება დავიწყეთ. "ქარავანზე" და თბილისურ ბაზარზეც გავიტანეთ "ალიყური", ჩვენი დახლი ლამაზად მოვრთეთ, რამაც ძალიან ბევრი ადამიანის ყურადღება მიიქცია. ვეცადეთ და დღემდე ვცდილობთ, რომ ყველა კარზე დავაკაკუნოთ და ყველგან ვცადოთ ბედი. ერთ-ერთი დიდი წარმატება იყო ჩვენთვის, როდესაც გადაცემა "ჩათში" მიგვიწვიეს ტელეკომპანია ფორმულაზე და წამყვანებს "ალიყური" ვათამაშეთ. ძალიან გავერთეთ და ბევრმა ადამიანმა გაიგო ჩვენ შესახებ. ასევე, დიდი წვლილი ითამაშა IBSU-მაც, რადგან ჩვენზე სიუჟეტი გააკეთეს, სიუჟეტის გასვლის შემდეგ დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით როგორც ადმინისტრაციისგან, ისე -სტუდენტებისგან", გვითხრეს ანიმ და ნიკამ. კონცეფციიდან გამომდინარე, თამაში „ალიყური" გათვლილია 16 წლისა და ზემოთ ასაკისთვის, ამიტომაც დაინტერესება საკაოდ მაღალი იქნებოდა. თამაშის მომხმარებლები ძირითადად დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და სტუდენდები არიან. თუმცა, როგორც ანი აღიარებს „ალიყურის" მიმართ ინტერესს შუახნისა და ასაკში შესული ადამიანებიც იჩენენ. „ჩემი ბებო, რომელიც 60 წლის არის, ჩემზე და ნიკაზე უკეთესადაც კი თამაშობს "ალიყურს", - თქვა ანიმ. საინტერესოა, განვითარდება თუ არა თამაში, ან რაიმე სიახლე ხომ არ დაემატება, თუმცა ნიკოლოზი და ანი ამ საკითხს საიდუმლოდ ტოვებენ და მომხმარებლებს სიურპრიზებს ჰპირდებიან. საუბრის დასასრულს ანის და ნიკოლოზს ახალგაზრდა სტარტაპერებისათვის რჩევის მიცემა ვთხოვეთ. „ახალბედა სტარტაპერებს შეიძლება არ ჰქონდეთ ფინანსური საშუალება, რომ დიდ ბიზნესს შეეჭიდონ. მე პირადად მათ ვურჩევდი, რომ თავიანთი იდეები ბიზნეს გეგმად აქციონ და მსგავს პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. დასაწყისისთვის შეიძლება ყველაფერი წარმოუდგენლად და რთულად ეჩვენოთ, მაგრამ შრომა, მონდომება და კარგი იდეები ყოველთვის ფასდება და დარწმუნებული ვარ დიდ წარმატებას მიაღწევენ", - აღნიშნეს მეგობრებმა.

ნიკოლოზ ქველიძე და ანი სამურკასოვი

„ამბის თხრობის ხელოვნება სოციალური მედიაში' საზოგადოებრივ მაუწყებლის თანამშრომლებმა შავი ზღვის უნივერსიტეტში მასტერკლასი ჩაატარეს

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა მასტერკლასი თემაზე „ამბის თხრობის ხელოვნება სოციალური მედიაში". ვორქშოპს გაუძღვნენ თამარ კაციტაძე, საქართველოს პირველი არხის ახალი მედიისა და ინოვაციის სამსახურის ხელმძღვანელი და თეო გონგლაძე საქართველოს პირველი არხის ციფრული მედიის მენეჯერი. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ისეთი თემები, როგორიცაა ამბის თხრობის ტექნიკა სოციალურ მედიაში, ფეისბუკის, ინსტაგრამის, ტიკ-ტოკის ალგორითმის მუშაობის პრინციპები, სოციალური მედიის მართვისას ხშირად დაშვებული შეცდომები, სოციალური მედიაში

ყალბი ახალი ამბები გავრცელების გზები და თავდაცვის მექანიზმები. შეხვედრის ბოლოს ჩვენთან საუბრისას თეო გონგლაძემ განაცხადა:

„განვიხილეთ სოციალური მედიის წარუმატებელი და წარმატებული მაგალითები, სემინარის ბოლოს სტუდენტებს მივეცით დავალება, რომელიც დაფუძნებული იყო იმ თეორიულ მასალაზე, რაზეც ვისაუბრეთ სემინარის განმავლობაში. მათ შეასრულეს დავალებები ზუსტად, არაერთი შემოქმედებითი იდეა წარმოადგინეს. საერთო ჯამში სემინარით ვართ კმაყოფილები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისთვის. ჩემთვისაც, როგორც სოციალური

მედიის მენეჯერისთვის, ეს იყო ძალიან საინტერესო გამოცდილება". ასევე მოვისმინეთ ვორქშოპთან დაკავშირებით სტუდენტების მოსაზრებაც გავესაუბრეთ მეორე კურსის სტუდენტებს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ანანო ბლიაძე **„განსაკუთრებით მომეწონა ის, რომ შევხვდით პრაქტიკოს სოციალური მედიის მენეჯერებს. ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღეთ და ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შემდეგში განმეორდება მსგავსი ტრენინგები"** ანა კალაშვილი- **„ძალიან კარგი შეხვედრა იყო. განსაკუთრებით მომეწონა მეორე ნაწილი სადაც ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა სტუდენტებმა დავგეგმეთ პატარა სოციალური მედიის კამპანია, ვფიქრობ რომ მსგავსი პროექტები ჩვენს უნარჩვევებს ავითარებს რაც ჩვენს პროფესიაში მნიშვნელოვანია"** ვორქშოფი ჩატარდა IBSU-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება .

IBSU-ს მედიაცენტრი ახალი ტექნიკით აღიჭურვა

ნინი დოლიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აგრძელებს სიახლეების დანერგვასა და განვითარებას. 2021-2022 სასწავლო წელს ახალი ტექნიკით აღიჭურვა უნივერსიტეტის მედიაცენტრი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 7 წელია, რაც ჟურნალისტიკის საბაკალარო პროგრამა მოქმედებს. მასობრივი კომუნიკაციის დარგი ერთი სემესტრია, რაც მხოლოდ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით აღარ არის წარმოდგენილი, 2021 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ახალი სამაგისტრო პროგრამა ციფრული მედია და კომუნიკაციები.

უნივერსიტეტში 2019 წლიდან ფუნქციონირებს მედია ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია ინტერნეტ-რადიო, ფეისბუქგვერდი და იუთუბარხი. ამ პლატფორმებზე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოაქვეყნონ საკუთარი სტატიები და სიუჟეტები, მათ მიერ მომზადებული სხვადასხვა სახის მედიანაწარმი.

ამ დრომდე მედიაცენტრში მხოლოდ მწირი რაოდენობის ტექნიკა იყო. უნივერსიტეტი, ტელე და რადიო გადაცემის მომზადების პრაქტიკული საგნებისათვის სასწავლო ლაბორატორიად ქირაობდა გარე-რესურსს - მულტიმედია განათლების ცენტრს. მულტიმედიაგანათლების ცენტრი /MEC საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „აირექსის“ შვილობილი ორგანიზაცია იყო, რომელიც აუდიო-ტელე აპარატურასა და სტუდიებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებზე აქირავებდა. 2014-2018 წლებში უნივერსიტეტის საკუთრებაში მხოლოდ 3-4 სამონტაჟო კომპიუტერი, და 3 კამერა იყო.

პანდემიის დროს „მულტიმედია განათლების ცენტრი“ იძულებული გახდა შეეჩერებინა მუშაობა, რადგან ტექნიკა კოვიდ ვირუსის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ გადამტანად ჩაითვალა. როგორც ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი მაგდა მემანიშვილი აღნიშნავს, იყო მოლაპარაკებები, რომ სტუდენტებს პრაქტიკული საგნები უნივერსიტეტში, ადგილზე გაევლოთ, მაგრამ ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების გამო მათ სახლიდან მოუწიათ პრაქტიკული დავალებების შესრულება, რისთვისაც სახლში არსებულ კომპიუტერებს, მობილურ ტელეფონებს იყენებდნენ.

„პრაქტიკულ საგნებში, განსაკუთრებით "სატელევიზიო ახალ ამბებში" სწავლის შედეგების მისაღწევად პირისპირ სწავლება საუკეთესო გზაა.“, განაცხადა ჩვენთან საუბრისას მაგდა მემანიშვილმა.

2021-2022 წელს უნივერსიტეტმა საკუთარი ხარჯებით შეძლო 4 ახალი კამერის და 11 ცალი სამონტაჟო კომპიუტერის შეძენა. მედიაცენტრის განახლებაში აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მოწვეული ლექტორი ანა დავითაშვილი, როგორც ის აღნიშნავს, პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო საჭირო ფართის გამოძებნა, რადგან სტუდიას სჭირდება ხმის იზოლაცია და ყველაფრისგან მოწყვეტა, რომ მაქსიმალურად სიჩუმე იყოს შენარჩუნებული. საბედნიეროდ, უნივერსიტეტში ასეთი ადგილი გამონდა, ამისთვის ოპტიმალური სივრცე "ბ" კორპუსის ნულ სართულზე გამოინახა.

„სტუდენტები მედიაცენტრში პროფესიულ გამოცდილებას შეიძენენ, ისწავლიან კამერასთან მუშაობას, ვიდეომონტაჟს“, აღნიშნა ანამ ჩვენთან საუბრისას.

უნივერსიტეტის რექტორის საფეთ ბაირაქთუთანის თქმით, სამომავლოდ იგეგმება სტუდიის გახსნა. ამჟამად კი მედიაცენტრის მთავარი ამოცანაა, სტუდენტებმა შეძლონ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, გაეცნონ ტექნიკას და გაიღრმავონ ცოდნა.

მედიაცენტრს ხელმძღვანელობენ IBSU-ს კანცლერი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი ექრემ დინდაროლი, რომელსაც მრავალწლიანი ჟურნალისტური გამოცდილებაც აქვს და პროფესიით ჟურნალისტი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მოწვეული ლექტორი მარიამ ძაგოევი. **„სტუდენტები აქტიურად იქნებიან ჩართულნი მედიაცენტრის აქტივობებში და შეძლებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას“**, განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბატონმა ექრემმა.

ანა დავითაშვილი, მოწვეული ლექტორი

მარიამ ძაგოევის თქმით, მედია ცენტრი უკვე მუშაობს, თუმცა გაზაფხულის სემესტრში მუშაობა უფრო გააქტიურდება. სტუდენტები გამოთქვამენ ინტერესს და სურვილი აქვთ მოამზადონ საინტერესო სიუჟეტები, ასევე ამუშავებენ ხანგრძლივი პროექტების იდეებს. **„ჩვენ რა თქმა უნდა მზად ვართ მათ დავეხმაროთ ამ იდეების განხორციელებაში“**, ამბობს მარიამ ძაგოევი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო ლაბორატორიის გამოყენების საშუალება აქვს ჟურნალისტიკის მიმართულების ყველა კურსის სტუდენტს. მარიამ ძაგოევის თქმით, მედიაცენტრში მუშაობის სურვილი სხვა მიმართულების სტუდენტებმაც გამოხატეს და ისინიც ჩართულნი არიან ამ საქმიანობაში. **„ვაშუქებთ, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის გარეთ მიმდინარე მოვლენებს, როგორიცაა სოციალური საკითხები, საინტერესო ადამიანები, კულტურა, მუსიკა, ლიტერატურა, სპორტი, ღონისძიებები, სხვადასხვა სახის პროექტები“.**

2021 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორები გაცვლითი პროგრამებით ევროპის უნივერსიტეტებს ეწვივნენ

მარიამ დვალი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველწლიურად მონაწილეობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. ამ მასალაში იმ რამდენიმე პროფესორის შესახებ გიამბობთ, რომლებიც 2021 წელს გაცვლით პროგრამებით ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს ეწვივნენ.

2021 წლის მაისში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი ნათია მაღალაშვილი პორტუგალიაში, ISAG - ევროპის ბიზნეს სკოლაში იმყოფებოდა Erasmus+ staff მობილობის ფარგლებში. ISAG მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულს ესწრებოდა 20-მდე ქვეყნის უნივერსიტეტი. კვირეულის ფარგლებში გაიმართა მრავალი მინი ლექცია თუ ტრენინგი, სოციალური კავშირების დამყარებითა და ურთიერთთანამშრომლობის ქსელის შექმნის პროცესში ჩართვით უნივერსიტეტებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება.

ნათია მაღალაშვილი: "საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში საშუალება მომეცა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი კიდევ უფრო ფართო აუდიტორიისთვის გამეცნო, როგორც პირველი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, მრავალწლიანი გამოცდილებით პედაგოგიურ და სამეცნიერო მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში მასპინძელმა უნივერსიტეტმა მოკლე ექსკურსია მოაწყო ქალაქ პორტოში, რომელიც სიდიდით მეორე ქალაქია პორტუგალიაში ლისაბონის შემდეგ. მოვინახულეთ მდინარე დორუს მარჯვენა სანაპირო, რომელიც ცნობილია, როგორც მეღვინეების ისტორიული ნაპირი. რა

ეკა დევიძე - IBSU - ს პროფესორი. ათენი, დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტი, 2021 წლის დეკემბერი

თქმა უნდა , ექსკურსიას პორტვეინის დაგემოვნების გარეშე არ ჩაუვლია. **პორტოში გატარებულმა რამდენიმე დღემ ძალზედ პოზიტიური გავლენა იქონია პროფესიული განვითარებაზე. ვფიქრობ, რომ ინდივიდუალურ განვითარებაზე ორიენტირება ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი ორგანიზაციისათვის, როგორიც უნივერსიტეტია. მადლობა IBSU - ს ამ შესაძლებლობისათვის!"**

2021 წლის ივნისში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი მაგდა მემანიშვილი პოლონეთში, ლუბლინის მმართველობისა და მეწარმეობის საუნივერსიტეტო კოლეჯს ეწვია. ხუთდღიანი პროგრამა განკუთვნილი იყო უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციული პერსონალისათვის. მასპინძელ უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრებზე პროგრამის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ის გამოწვევები, რისი გადაჭრაც საბაკალავრო, თუ სამაგისტრო პროგრამების მართვისას უწევთ.

მაგდა მემანიშვილი: "საინტერესო ხუთი დღე გავატარე ლუბლინის მმართველობისა და მეწარმეობის საუნივერსიტეტო კოლეჯში. **ამ დროის განმავლობაში პროგრამის მონაწილეებმა მეგობრულ გარემოში ვიმუშავეთ და ბევრი საინტერესო რამ შევიტყვეთ იმის შესახებ, როგორ უმკალავდება ადამინისტრაციული პერსონალი სხვადასხვა ამოცანებს - სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ზედამხედველობას, მობილობით გადმოსული სტუდენტების მენეჯმენტს, პროგრამების განვითარებას - გარე და შიდა შეფასებების ორგანიზებას** მასპინძლებმა პროგრამა ისე დაგეგმეს, რომ საღამოობით ლუბლინის ისტორიული ცენტრის მონახულების დრო გვქონოდა. ძველმა ლუბლინმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა". მემანიშვილის თქმით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება პროფესიული განვითარების აუცილებელი პირობაა, რის შედეგადაც ჯერ უშუალოდ უნივერსიტეტის თანამშრომლები ვითარდებიან, ხანგრძლივ პერსპექტივაში კი ეს უმაღლესი სასწავლების უწყვეტი განვითარების საფუძველიც ხდება.

"ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი დალი ოსეფაშვილი პოლონეთში, ვროცლავის უნივერსიტეტში ორთვიანი ვიზიტით იმყოფებოდა. იგი ორი აკადემიური პროექტის მონაწილე იყო. „Erasmus+-ის აკადემიური პერსონალის მოკლევადიანი მობილობის პროგრამის ფარგლებში, როგორც მიწვეული პროფესორი ვროცლავის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მეორე, კვლევით პროექტს კი პროფ. დალი ოსეფაშვილი, როგორც ტიტუს ფილიპოვიჩის სტიპენდიის მფლობელი, ახორციელებდა ვროცლავის აღმოსავლეთ ევროპის კოლეჯსა და ვროცლავის უნივერსიტეტში. გაცვლითი პროგრამების მსვლელობისას დაიგეგმა IBSU-სა და ვროცლავის უნივერსიტეტს შორის სამომავლო თანამშრომლობა და სხვადასხვა ერთობლივი პროექტის განხორციელება. „ერაზმუს+“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, IBSU - ს ასოცირებული პროფესორი გიორგი წანაწყენიშვილი პოლონეთში, ქ. ბიდგოშჩის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში იმყოფებოდა. მან ლექცია წაიკითხა ისტორიული ქალაქის ურბანული და არქიტექტურულ-გეგმარებითი ტრანსფორმაციის შესახებ თბილისის მაგალითზე. ვიზიტის დროს გიორგი წანაწყენაშვილი შეხვდა არქიტექტურის მიმართულების სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს. კერძოდ, არქიტექტურის დოქტორებს პიოტრ ბრზეზინსკისსა და ალექსანდრ ფურმანეკს და არქიტექტურის მაგისტრ დავიდ ფიშერს. შეხვედრების დროს განიხილეს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. გიორგი წანაწყენიშვილი ასევე შეხვდა IBSU -ს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტ ლიკა ბარნაბიშვილს, რომელიც ამჟამად სწავლობს ამავე უნივერსიტეტში "ერაზმუს+"-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ვიზიტი დასრულდა ექსკურსიებით ქალაქ გდანსკსა და თორუნში.

დალი ოსეფაშვილი - IBSU-ს პროფესორი. ვროცლავის უნივერსიტეტი, 2021 წლის ნოემბერი

IBSU -ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და "ერაზმუს+" პროგრამის თანამშრომლობის შედეგად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი ეკა დევიძე 2021 წლის 6 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ათენში, დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში. ვიზიტის ფარგლებში, ეკა დევიძემ გამართა ბერძენ კოლეგებთან შეხვედრა და უნივერსიტეტის ბიზნეს

გიორგი წანაწყენიშვილი - IBSU-ს ასოცირებული პროფესორი. პოლონეთი, ქ. ბიდგოშჩის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტი 2021 წლის ნოემბერი

ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებთან ჩაატარა სემინარი - „პანდემია -კოვიდ-19-ს გავლენა ტურიზმზე", ასევე, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის წარდგენა, შეთანხმება „ერთობლივი გაცვლითი პროგრამის განვითარების შესაძლებლობები, როგორც პროფესორებისთვის, ისე - სტუდენტებისთვის". ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, პროგრამის კოორდინატორის მიერ დაგეგმილი იყო კულტურული ტურები შემდეგ დესიტინაციებზე: ქალაქი ათენი, ლიკავიტო, ვარკიზა, ვულაგმენის ტბა. პროგრამის დასასრულს დაიგეგმა სამომავლოდ ერთობლივი თანამშრომლობითი პროექტებიც.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აგრძელებს საკუთარი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვას.

“ამ უნივერსიტეტში დაფასებულია სწავლის ხარისხი” წარმატებული კურსდამთავრებულები IBSU-ში გატარებულ წლებს იხსენებენ

სალომე კაიშაური,
მადონა ბეჭვაია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს უამრავი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს, ამჯერად კი გაგაცნობთ ორ წარმატებულ კურსდამთავრებულს: საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კურსდამთავრებულ თამარ ჩოგოვაძესა და მარიამ კაიშაურს, რომელმაც შავი ზღვის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამა დაასრულა. თამარ ჩოგოვაძემ შავი ზღვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა მოხალისეობრივ გაცვლით პროგრამაში მიედო მონაწილეობა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამის ფარგლებში, ჩასულიყო პოლონეთის ქალაქ კიელცეში. არაფორმალური განათლების ეს პროექტი თამარს ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება. “აღსანიშნავია პოლონელების პოზიტიური დამოკიდებულება ქართველებისადმი, ჩამოსვლის დღიდან ძალიან ბევრი ახალი ადამიანი გავიცანი. დიდი რეკომენდაციას ვუწევ მსგავსი ტიპის პროექტებს, რადგან ეს ეხმარება ქართველ ახალგაზრდებს პიროვნულ ზრდასა და

მარიამ კაიშაური: “სამართალმცოდნეობა და შემდგომი ნაბიჯები, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს პროფესიულ განვითარებასთან, მუდმივ სწავლას მოითხოვს. თუმცა მიუხედავად ამისა, შრომას ყოველთვის აქვს ფასი და ყველა გათენებული ღამე აუცილებლად დაუფასდებათ. მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამოიყენოთ ის შესაძლებლობები, რომელთაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაძლევთ, როგორც შიდასაუნივერსიტეტო ფარგლებში ასევე, მის გარეთ”

სხვადასხვა კულტურის შეცნობაში. ჩემი სურვილი იქნება, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს და მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რადგან ამ მიმართულებით მრავალი შესაძლებლობა არსებობს”, გვითხრა თამარ ჩოგოვაძემ საუბრისას. თამარ ჩოგოვაძე: “იბსუში სწავლის პერიოდში მრავალი საჭირო უნარი გამომიმუშავდა სხვადასხვა აქტივობების პროცესში. ეს ყოველივე დღესაც დიდ როლს თამაშობს ჩემ ცხოვრებაში და მეხმარება იმაში, რომ საკუთარი თავი მრავალი კუთხით განვავითარო. პანდემიის დაწყებიდანვე გადავედით დისტანციურ სწავლებაზე, რომელსაც მრავალი მინუსი აქვს, თუმცა ეს პერიოდი ჩემთვის ხელსაყრელი გამოდგა, რათა წერითი უნარები დამეხვეწა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ანალიტიკური ესე და ნაშრომი ვწერე, რომლებთან მიმართებაშიც მუდმივად ვიღებდი უკუკავშირს და ვცდილობდი ეს ყოველივე გამეთვალისწინებინა. ჩემი აზრით სწორედ ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ გამიჩნდა სურვილი გავმხდარიყავი მკვლევარი. დღესდღეობით მრავალ სტატიას თუ ნაშრომს ვასრულებ ქართულად და ინგლისურად, ხოლო ამას გარდა აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა სემინარებსა თუ ღონისძიებებში. საბოლოო ჯამში, იბსუმ მრავალი საჭირო უნარი და ცოდნა მომცა, ხოლო ამასთანავე სწავლის პერიოდში გავაცნობიერე თუ როგორ უნდა გამოვიყენო ყველა რესურსი მიზანმიმართულად.”

მანამდე თამარი, საუნივერსიტეტო ცხოვრების პარალელურად, ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ღონისძიებებში და ამ მხრივ ანგარიშგასაწევი გამოცდილება დააგროვა. თამარი დაბრუნდა და ახლა საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს ეხმარება, სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სკოლებსა თუ საგანმანათლებლო ცენტრებში. თამარ ჩოგოვაძე: “დღემდე მრავალი კულტურის და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთან მიხდება ყოველდღიური ურთიერთობა, რაც გაცვლითი პროექტების დამსახურებაა. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ დღითიდღე იზრდება მსგავსი ტიპის პროექტებისადმი ინტერესი, რაც ნამდვილად სასიხარულოა”. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მარიამ კაიშაური ამჟამად პრობაციის ეროვნულ სააგენტოშია დასაქმებული, პარალელურად კი ადვოკატის სასერთიფიკაციო კურსებს გადის. შავი ზღვი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მარიამმა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში განაგრძო. მარიამის თქმით, IBSU -ში ჩაბარებისას დიდი მოლოდინები ჰქონდა და

ეს მოლოდინები გამართლდა კიდეც. მან აღნიშნა, რომ უცხოეული პროფესორების მიერ ჩატარებულმა ინტენსიურმა სასწავლო კურსებმა (განსაკუთრებით იტალიელი პროფესორის ანდრია ბორონთან, რომელიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორია 2016 წლიდან. იგი სხვადასხვა დროს უძღვებოდა სალექციო კურსებს ნაპოლის, ტრენტოს, სიენას და სხვა უნივერსიტეტებში, ხელმძღვანელებოდა კვლევით პროექტებს, მათ შორის Athenaeum Funds (AF)-ის და ერასმუსის პლიუსის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს. 2008 წელს მიიღო პროფესორ-მკვლევარის ხარისხი; ახორციელებს კვლევებს კერძო სამართლის მიმართულებით; არის სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების თანაავტორი/ავტორი), მისი ცოდნა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით გაადრმავა და განავითარა მისი უნარები. მარიამ კაიშაური: სწორედ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დამეხმარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაში და იმ სამსახურებრივი პოზიციის დაკავებაში, რომელიც ჩემი მომავალი პროფესიული განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადენს. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ არსებითად სწორი არჩევანი გავაკეთე, როდესაც გადავწყვიტე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაბარება, ამ უნივერსიტეტში ფასდება შენი სწავლის ხარისხი. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ IBSU-ში შემოთავაზებული სამართლებრივი ინგლისურის კურსით, რომელიც ძალიან ბევრ უნივერსიტეტს არ გააჩნია და რომელიც, ვფიქრობ, ჩვენი პროფესიული საქმიანობისთვის არსობრივად მნიშვნელოვანია.

მადლოიერებით ვიხსენებ სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელიც ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ მოთხოვნებს და მოქმედებდა ჩვენი ინტერესების შესაბამისად. ვფიქრობ, სამართალმცოდნეობა და შემდგომი ნაბიჯები, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს პროფესიულ განვითარებასთან, მუდმივ სწავლას მოითხოვს. თუმცა მიუხედავად ამისა, შრომას ყოველთვის აქვს ფასი და ყველა გათენებული ღამე აუცილებლად დაუფასდებათ. მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამოიყენოთ ის შესაძლებლობები, რომელთაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაძლევთ, როგორც შიდასაუნივერსიტეტო ფარგლებში ასევე, მის გარეთ. უარი არ თქვათ სტაჟირების პროგრამებზე და მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენეთ დრო”.

ჩვენი გაზეთი მომდევნო ნომრებშიც გაგაცნობთ შავი ზღვის უნივერსიტეტის

თამარ ჩოგოვაძე: “დღემდე მრავალი კულტურის და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთან მიხდება ყოველდღიური ურთიერთობა, რაც გაცვლითი პროექტების დამსახურებაა”.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს.

IBSU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის წარმომადგენლები ამსტერდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს სტუმრობენ

IBSU-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფ. დოქტ. თეა კბილცეცხლაშვილი (ფინანსები), ასოცირებული პროფ. მაკა ბუღულაშვილი (მენეჯმენტი), ასოცირებული პროფ. დავით ნიჟარაძე (მენეჯმენტი) და ნია თოდუა (მარკეტინგი) ამსტერდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს სტუმრობენ. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს ვორქშოფებში და წაიკითხეს ლექციები

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მათ მასპინძლობს ამსტერდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დიდი ხანია თანამშრომლობს ამსტერდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, რაც გამოიხატება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ერთობლივ გაცვლით პროგრამებში.

წიგნის საერთაშორისო დღე IBSU -ში

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 23 აპრილს IBSU-ს ბიბლიოთეკისა და სტუდენტების ინიციატივით, ამ დღესთან დაკავშირებით, ჩვენი სტუდენტები რუსთაველის გამზირიდან ჩაერთნენ წიგნების გაჩუქების აქციაში - წიგნები და სამახსოვრო საჩუქრები გამვლელებს გადასცეს საჩუქრად

“IBSU-ს დეტექტივები“ უნივერსიტეტის კამპუსში შემეცნებით-გასართობი თამაში ჩატარდა

ანი აბუსერიძე

სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში სტუდენტებისათვის გაიმართა სახალისო-შემეცნებითი თამაში “IBSU -ს დეტექტივები“. პროექტის კოორდინატორი, IBSU-ს სოციალური მედიის მენეჯერი მარიამ გოჩელაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის სპეციალური სახალისო-შემეცნებითი აქტივობაის ჩატარების იდეა სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აქტივობებზე მსჯელობისას გაჩნდა. ეს გახლავთ სახალისო-შემეცნებითი თამაში, რომელიც დაფუძნებულია „City game“-ის წესებზე. თამაშის მიზანი იყო იმ სტუდენტებს, რომლებიც ნაკლებად იცნობენ კამპუსს, შეესწავლათ ტერიტორია. „უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე

მონაწილეები ირჩევენ გუნდებს

მიმოფანტული იყო მინიშნებები, რომლებსაც თავსატეხის ამოხსნის შემდეგ ვიღებდით საბოლოოდ ამ მინიშნებებს მივყავდით ერთ ადგილზე, სადაც მოპოვებულ მინიშნებებს და სიტყვებს დავალაგებდით შესაბამის ადგილზე და გავიმარჯვებდით. მთავარი კი ისაა, რომ ამ თამაშის განმავლობაში ჩვენ მთელი უნივერსიტეტი გავიცანით და დავათვალიერეთ,“ - აღნიშნავს თამაშის ერთ-ერთი გამარჯვებული, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელი, ჭაბუკი გოგოლაძე. გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა უნივერსიტეტის ბრენდირებული სუვენირებით, Museum of Illusions Tbilisi-ის ბილეთებითა და ლებოვსკის კლუბის ვაუჩერით. თამაშის სპონსორები იყვნენ თბილისის ილუზიების მუზეუმი

და ჰოლოზეუმი -ციფრული მუზეუმი.

გაგრძელება გვ.12

მონაწილეები იბსუს ეზოში მინიშნებებს ეძებენ

IBSU-ს კურსდამთრეებული 26 წლის მწერალი ნანა აბულაძე ორი პრემიის მფლობელი გახდა

ნატალი ტუღუში

საუკეთესო დებიუტისათვის 2021 წელს ლიტერატურული პრემია "საბა", ხოლო 2022 წელს ლიტერატურული პრემია "თავისუფალი ლიტერა" მიიღო ნანა აბულაძემ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა. მისი რომანი აკუმი მოგვითხრობს უსქესო ადამიანზე, რომლის შესახებაც ერთ-ერთი რეცენზიის ავტორი წერს: " აკუმი არ არის პირველი, ვინც უსქესოდ დაიბადება დედამიწაზე, მაგრამ არის ერთადერთი, რომელიც დაბადებისთანავე არ გარდაიცვლება და გაიზარდე-

ბა". ნანამ შავი ზღვის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამა დაამთავრა, სამაგისტრო სწავლება კი ილიას უნივერსიტეტში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით გააგრძელა. დღეს იგი პროფესიით ლიტერატურათმცოდნეა და ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც აგრძელებს. ჩვენი გაზეთი ნანა აბულაძეს წარსულსა და სამომავლო გეგმებზე გაესაუბრა. რომან აკუმის წერა ნანა აბულაძემ 2018 წელს დაიწყო, თუმცა მანამდე არაერთი მოთხრობა აქვს დაწერილი, მისი მოთხრობებიდან რამდენიმე ჟურნალ ლიტერატურულ პალიტრაში გამოქვეყნდა. ჩვენთან საუბრისას ნანამ აღნიშნა, რომ ბავშვობიდან წერს. პირველ წარმატებად ხელოვნების აკადემიის მიერ ორგანიზებული ლიტერატურული კონკურსი მიაჩნია. კონკურსში მონაწილეობის უფლება 16 წლამდე მოზარდებს შეეძლოთ, გამარჯვებული ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე უნდა გაგზავრებულიყო. მაშინ ნანა 15 წლის იყო, როგორც თავად ამბობს, კონკურსში მონაწილეობა სრულიად უიმედოდ მიიღო, თუმცა გაიმარჯვა. კონკურსს წარმომადგენლობითი ჟიური ჰყავდა, რომელსაც ყველასათვის საყვარელი ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი ხელმძღვანელობდა. „ძალიან მწყდება გული, რომ გურამ დოჩანაშვილის პირადად გაცნობა ვერ მოვასწარი. ბევრჯერ მინატრია, ნეტავ სადმე გადავყროდი და ამ კონკურსის ამბავიც გამეხსენებინა." სწორედ აქედან დაიწყო უფრო სერიოზული ფიქრი წერასა და ლიტერატურაზე. ნანამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაამთავრა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, მეორად სპეციალობად კი ეკონომიკა შეარჩია. თუმცა წერა მის ცხოვრებაში ყოველთვის დიდ ადგილს იკავებდა. მცირე მოთხრობებს ადრეული ასაკიდან წერდა, რომანზე მუშაობა მოგვიანებით დაიწყო, რაც 10 თვეს გაგრძელდა. რომანის მუშაობაზე დაწყების ბიძგად იქცა იოსებ ათონელის წერილთა კრებულში („მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა") ამოკითხული ფრაზა: „მე თქვენ ისეთ დარიგებებს გაძლევთ, როგორსაც ჩემს ძმებს,იმიტომ რომ სქესი მხოლოდ გამრავლებისთვის არსებობს და ჩვენ ამაზე უარი ვთქვით, არ არსებობს არანაირი ქალის სული ან კაცის სული, სული სულიაო... ეს რომ წავიკითხე, ვიფიქრე რა მოხდებოდა ადამიანი სქესის გარეშე რომ დაბადებულიყო-მეთქი, ამ მომეტში კი მივხვდი, რომ ძალიან რთული სამუშაო მელოდა. ეს სამედიცინო პრობლემა იყო, რადგან მე თანდაყოლილ ანომალიაზე ვწერდი და მაშინ ჯერ ის უნდა გამერკვია, ადამიანის ნაყოფი ბუნებრივად როგორ ვითარდება. მეორე მხრივ, ჩემს წარმოდგენაში, პროტაგონისტს სექსუალური ლტოლვა უნდა განეცადა, ჰორმონების სინთეზსა და სეკრეციაზე კი სასქესო ორგანოებია პასუხისმგებელი, რაც მას არ გააჩნდა. ამიტომ ამ თემების საფუძვლიანად შესწავლა იყო საჭირო და ასეც მოვიქეცი ..." , გვითხრა ნანამ.

2020 წელს ეს რომანი გამოიცა,რომანი, სახელწოდებით „აკუმი". როგორც ახალგაზრდა მწერალი გვიყვება, ყველა პერსონაჟი თავისით მოდიოდა წერის პროცესსში, შესამისად წინასწარ დაგეგმილი პერსონაჟები მას ნამდვილად არ ჰყოლია. როდესაც ვკითხეთ იმ დღეზე, როდესაც მან წერა დაასრულა, გვპასუხობს: „მახსოვს ეს დღე, დავწერე ეპილოგი, ერთდროულად მქონდა გიჟური სიხარულისა და უდიდესი ნერვიულობის განცდა. ჩემს ერთ-ერთ მეგობარს მივწერე, რომ წერა დავასრულე და მუხლები მიკანკალებს-მეთქი. მან მიპასუხა,

არასდროს არაფერზე აგიკანკალდეს მუხლებიო. ასე დამრჩა გაუზიარებელი წიგნის დასრულების სიხარული." ნანას თქმით, არავის არ სჯეროდა ამ წიგნის ამბავი, შემდეგ კი დადგა დღე, როდესაც გამომცებლობისგან პირველი ზარიც მიიღო, ზარის დასრულებისთანავე კი გაიქცა გამომცემლობაში.

„ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი თუ ამდენი ადამიანის გულს შეეხებოდა „აკუმი",მეგონა ამას წაიკითხავდა მკითხველების ძალიან მცირე წრე, რადგან გასართობი ჟანრის წიგნი ნამდვილად არ არის. დროთა განმავლობაში კი ვხვდებოდი,რომ ძალიან ფართო მკითხველების აუდიტორიას იძენდა რომანი. იმ უკუკავშირიდან გამომდინარე, რასაც მკითხველისაგან ვიღებ, ვფიქრობ, „აკუმი" მკითხველებს რაღაც განსაკუთრებულ კვალს, ფიქრებს და ემოციებს უტოვებს. წიგნშიც ხომ ეს არის ყველაზე ნიშვნელოვანი. შთაბეჭდილება და ინტერესი წაკითხვისთანავე არ უნდა დამთავრდეს, უნდა გაგვეყვეს დიდხანს..." ძალიან მალე ნანა აბულაძის მეორე წიგნს, ამჯერად მოთხრობების კრებულს, უნდა ველოდოთ, რომლის ანონსი გამომცემლობა ინტელექტმა უკვე შემოგვთავაზა. როგორც გამომცემლობის მიერ გავრცელებულ ანოტაციაში ვკითხულობთ: "ნანა აბულაძის „ახალი აღქმა" ხუთი სხვადასხვა ბიბლიური პერსონაჟის თვალით დანახულ ამბავს აერთიანებს. მათ შორის ქრისტიანული სამყაროს უდიდეს წმინდანებსაც შეხვდებით, რომლებზეც ბევრი რამ იცით, და იმ ქალებსაც, რომლებიც მხოლოდ ეპიზოდურად გაიელვებენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში". შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, როგორც ნანა აბულაძის პირველი უმაღლესი სასწავლებელი მას მომავალ პროფესიულ წარმატებასა და წინსვლას უსურვებს.

"BSU-ს დეტექტივები" უნივერსიტეტის კამპუსში შემეცნებით-გასართობი თამაში ჩატარდა

ანი აბუსერიძე

დასაწყისი გვ.11

„დიდი დაბრკოლება არ შეგვქმნია თამაშის შექმნის დროს, რადგან ჩვენ მე და დავით ვადაქარია, თამაშის ორგანიზატორები კარგად ვფლობთ აქტივობების დაგეგმვის უნარს და ფუნქციების გადაწილებაც ადვილად შევძელით... თამაშმა გაამართლა ჩვენი მოლოდინები, ვინაიდან, თავიდანვე გვქონდა გათვლილი ყველა დეტალი და თითქმის არსად იყო ჩავარდნა. ძალიან შთამბეჭდავი იყო მონაწილეების ემოციები, რომლებიც თამაშის შემდგომ სიხარულით გვიზიარებდნენ აღფრთოვანებას და კმაყოფილებას, რაც მათ თამაშმა დაუტოვათ. ამიტომაც ამ ყველაფრის მოსმენა ჩვენთვის, როგორც ორგანიზატორებისთვის, ძალიან სასიამოვნო იყო...მომავალშიც განმეორდება აქტივობა და, შესაძლოა, იგი უკვე აბიტურიენტებსაც შევთავაზოთ. განმეორებითი აქტივობების შესახებ აუცილებლად დაიდება ინფორმაცია სოციალურ ქსელებსა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტებს პირად მეილებზეც დაიგზავნება",განაცხადა მარიამ გოჩელაშვილმა.

თავსატეხების ამოხსნის პროცესი

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, თამაშში მონაწილეობის მიზანი ის იყო, რომ გაცნობილიყვნენ უნივერსიტეტსა და ახალ ხალხს, რადგან პირველკუსელები არიან. „მეილზე მივიღე ინფორმაცია ივენთთან დაკავშირებით და ვიფიქრე რომ საკმაოდ საინტერესო იქნებოდა, თან იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო სემესტრი ახალიდაწყებული იყო, უნივერსიტეტში ჩატარებულ არცერთ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მქონდა მიღებული. წესებთან გაცნობის შემდეგ კი ვიფიქრე, რომ სახალისო თამაში იქნებოდა და ამავდროულად შევძლებდი უნივერსიტეტის დათვალიერებასა და სხვა სტუდენტების გაცნობას", გვითხრა თამაშის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა ინგლისურენოვანი არქიტექტურის პირველკურსელმა თეკლა მამფორიმა. თეკლას ვკითხეთ, თუ რას ურჩევს მომავალ მონაწილეებს ამ თამაშში. თეკლა მამფორია: „არ დაიბნეთ და ეცადეთ, რომ როგორც გუნდმა ისე იათამაშოთ და, რაც მთავარია, მიიღეთ სიამოვნება პროცესისგან, რადგანც მსგავსი დღეები ახალგაზრდობას გაგილამაზებთ."

მონაწილეების აზრით, მთავარია გუნდური მუშაობა, დაბრკოლებებისას აზრების გაცვლა და დავალებების განაწილება იმის მიხედვით, თუ ვის რა შესაძლებლობა ჰქონდა: „ ერთ-ერთი დაბრკოლება მათემატიკური ცვლადიანი ამოცანის ამოხსნა იყო, რომელიც არცთუ მარტივი იყო, აქაც ბიჭებმა (პაატამ და გურამმა) ერთდროულად დაიწყეს ამოხსნა და პასუხიც ერთნაირი მიიღეს. ამ შემთხვევაში დროც მოვიგეთ და დაბრკოლებაც მარტივად გადავლახეთ",- ამბობს ჭაბუკი გოგოლაძე. სტუდენტებისთვის ეს თამაში სახალისოსთან ერთად სასიამოვნო გადმოდგა და ისურვებენ, რომ ისევ მიიღონ მონაწილეობა: „ყველაფერმა ამან გაგვიძლიერა ურთიერთგაგების უნარი და ჯგუფური სამუშაოს გაყოფა, კომუნიკაცია.." - აღნიშნავს კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის პირველკურსელი გურამ ჯაჯანიძე.

გუნდური გადაწყვეტილებები

საქველმოქმედო აქცია უკრაინის მხარდასაჭერად

უკრაინის და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი საქველმოქმედო აქციაში ჩაერთო. IBSU-ს თანამშრომლებმა თანხა შეაგროვეს, რომელიც უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხება. დღეს თანამშრომლებს IBSU -ს რექტორი საფფეთ ბაურაქთუთან შეხვდა, განიხილა ის ღონისძიებები, რომელიც უკრაინის მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა განახორციელა და ისაუბრა იმ სამომავლო პროექტებზე, რომლებიც მომავალში ამ მიმართულებით კიდევ იგეგმება. რექტორმა მადლობა გადაუხადა აკადემიურ და ადმინისტრაციულ

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲠᲗᲐᲕᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ
2022 ᲬᲚᲘᲡ 16 Ა�პᲠᲘᲚᲘ, ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ, ᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ.
ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲔ-13ᲙᲛ. 2 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲗ: „ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ.
ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ.
ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲔ-13ᲙᲛ. 2 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲗ: „ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲛ